პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

შაბათი
29 ივნისი
1940 წ.
№ 148 (5849)
ფასი 10 კაპ.

საქ. ჰ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარტრაიკომის ინსტრუქტორი

პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორთა როლი დიდი და პასუხსაგებია. რაიკომის ინსტრუქტორი აკავშირებს რაიკომს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან. ინსტრუქტორი კარგად უნდა იცნობდეს პარტიული ორგანიზაციების მრავალფეროვან მჩქეფარე ცხოვრებას, უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით, შეუნელებლად ამაღლებდეს თავის იდეურ-პოლიტიკურ დონეს. ხოლო ამ საქმეში ინსტრუქტორისადმი დახმარება მისი ხელმძღვანელობის საქმეა.

დიდი **სტალინის** საუკეთესო თანამებრძოლი ამხანაგი **ლ. მ. კაგანოვიჩი** საოლქო და სამხარეო კომიტეტების ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილებათა გამგეების თათბირზე 1934 წელს ამბობდა, რომ პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორები „უნდა გახდნენ პარტიული აპარატის უმნიშვნელოვანესი რგოლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცენტრალური ფიგურა... ინსტრუქტორთა როლი განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგებია. ყველამ ვიცით, რა ფასი აქვს ქაღალდზე დაწერილ გადაწყვეტილებებს, თუ არ არიან ადამიანები, რომლებიც წინ სწევენ და კონტროლს უწევენ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ინსტრუქტორები უნდა იყვნენ პარტიული კომიტეტების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მებრძოლნი, ისინი უნდა იყვნენ დამაკავშირებელი რგოლი პირველადს პარტორგანიზაციებსა და რაიკომ-ქალაქკომებს შორის“.

რაიკომის ინსტრუქტორები პირველადს პარტორგანიზაციებს სისტემატურად უნდა უწევდნენ ბოლშევიკურ დახმარებას პარტიის ზრდის საქმეში, პარტიული მეურნეობის სანიმუშოდ დაყენებაში, ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდაში და სხვა საკითხების გადაწყვეტაში.

ერთი წელია მას შემდეგ, რაც საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორად მუშაობს ამხ. ს. დავთიანი. მის საინსტრუქტორო ზონაში 44 პირველადი პარტიული ორგანიზაცია შედის.

ინსტრუქტორი ს. დავთიანი რაიკომის დახმარებით ენერგიულად მუშაობს. იგი სისტემატურად ეხმარება თავის ზონაში შემავალ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობის, პარტიის ზრდის, პარტიული მეურნეობის სანიმუშოდ დაყენებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში.

მაგალითად, პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის რიგების ზრდის საქმე სუსტად იყო დაყენებული. ამ ორგანიზაციამ პარტიის რიგებში მიიღო მხოლოდ ორი ამხანაგი, რომელთაგან არცერთი ექიმი არ ყოფილა. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნულ პოლიკლინიკაში მუშაობენ ისეთი ექიმები, რომლებიც თავგამოდებით ემსახურებიან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას.

მას შემდეგ, რაც ამხ. ს. დავთიანმა სათანადო დახმარება გაუწია აღნიშნული პოლიკლინიკის პირველადს პარტორგანიზაციას (მდივანი—ამხ. ს. ოქრუაშვილი), მდგომარეობა გამოსწორდა და პარტიის რიგებში მიიღეს ორი ექიმი და ორი ექიმის თანაშემწე, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი.

ინსტრუქტორი ამხ. ს. დავთიანი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს კონკრეტულად ეხმარება პარტიული მეურნეობის სწორად დაყენების საქმეშიც. ასე, მაგალითად, მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრის პარტორგანიზაციაში (მდივანი—ამხ. ვ. არუთინიანი) და ფეხსაცმლის შემკეთებელ არტელ „შრომის“ პარტორგანიზაციაში (მდივანი—ამხ. ქ. ნიშნიანიძე) პარტიული მეურნეობა მოუწესრიგებელი იყო. პარტიული კრებების ოქმები სათანადოდ არ იყო გაფორმებული, არტელ „შრომის“ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული დოკუმენტების შესანახად არ იყო ცეცხლგამძლე ყუთი, მაგრამ ამხ. ს. დავთიანის დახმარებით ეს ნაკლოვანებები გამოსწორებულ იქნა.

ასევე კარგად მუშაობს იმავე რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. გ. პაპუნაშვილი.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების დროს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიონულ კონფერენციაზე და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ რაიკომის ზოგიერთი ინსტრუქტორი სუსტად ეხმარებოდა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მაკარონის ფაბრიკის კომუნისტებმა პარტბიუროს მდივნად აირჩიეს ამხ. ი. ბერუაშვილი. იგი პირველად არის დაწინაურებული პარტიულ სამუშაოზე. აქ პარტიაში მიღების საქმე სუსტად იყო დაყენებული. საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ სამი თვის განმავლობაში საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მხოლოდ ერთი მუშა მიიღეს. ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბერუაშვილმა ერთხელ წინასწარ დასწერა რეკომენდაციები, ხოლო შემდეგ გამოიძახა სტახანოველი ქალები ამხ. ლიზა ოვანეზოვა და ან. მარქაროვა და უთხრა მათ დაეწერათ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ.

26 კომისრის სახელობის პარტრაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორმა ამხ. რ. თარხანოვმა გამოავლინა ეს ნაკლოვანებანი და პარტბიუროს დაეხმარა მათ ბოლშევიკურად გამოსწორებაში. მაგრამ ამხ. რ. თარხანოვის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები: როცა მან საკონდიტრო ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა შეამოწმა, საამქროებში არ შეუვლია, კომკავშირელებთან არ უსაუბრნია, დაკმაყოფილდა მხოლოდ პარტბიუროს სხდომათა და პარტიულ კრებათა ოქმების გადასინჯვით.

სუსტად მუშაობენ აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორები ამხ. პ. ჯანიაშვილი და ოკინაშვილი. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ერთ წელზე მეტია, რაც ეს ამხანაგები რაიკომში მუშაობენ, მაგრამ მათ ამ ხნის განმავლობაში დამოუკიდებლად არ მოუმზადებიათ რაიკომის ბიუროსათვის რაიმე საკითხი.

პარტრაიკომის ინსტრუქტორებმა ყოველდღიურად უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტორგანიზაციებისადმი, „...რათა პარტიულ ორგანოებს გაუადვილდეს ამ ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, ხოლო თვით ხელმძღვანელობა კონკრეტული, ცოცხალი, ოპერატიული გახდეს“. (სტალინი).

რაიკომის ინსტრუქტორის ძირითადი სამუშაო—ეს არის დახმარება პარტორგანიზაციებისადმი, ცოცხალი კავშირი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, რაიკომების მდივნები ბოლშევიკურად უნდა დაეხმარონ ინსტრუქტორებს ამ საპატიო მოვალეობის შესრულებაში.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოების სესიები

25 და 26 ივნისს თბილისის შვიდსავე რაიონში შესდგა მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების სესიები. სესიებმა განიხილეს საკითხი 1939 წლის რაიონული ბიუჯეტის შესრულებისა და 1940 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომთა საფინანსო განყოფილებების გამგეები და თანამოხსენებებით — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების მუდმივად მოქმედი საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარენი.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვების შემდეგ სესიებმა კარობრივად დაამტკიცეს 1940 წლის რაიონული ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის რაისაბჭოს მესამე სესიამ 1940 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დაამტკიცა 14.734,1 ათასი მან., ხოლო საგასავლო ნაწილი 10.876,2 ათასი მან. რაოდენობით.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის რაისაბჭოს მესამე სესიამ 1940 წლის რაიონული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დაამტკიცა 10.293,8 ათასი მან., ხოლო საგასავლო ნაწილი 8.420,2 ათასი მან. რაოდენობით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების სესიებზე დამტკიცებულ ბიუჯეტების მიხედვით ლენინის სახელობის რაიონის 1940 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრის 8.530,6 ათას მან., სტალინის სახ. რაიონის—10.650,5 ათას მან., მოლოტოვის სახ. რაიონის—11.145,3 ათას მანეთს, 26 კომისრის სახ. რაიონის — 13.379,8 ათას მან. და ორჯონიკიძის სახ. რაიონისა—10.781,7 ათას მანეთს.

დასასრულ სესიებმა დაამტკიცეს 1939 წლის რაიონული ბიუჯეტების შესრულება და განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

მშვიდობიანად გადაწყდა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კონფლიქტი ბესარაბიის და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის საკითხის გამო

(საკდესის ცნობა)

26 ივნისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგი წარდგინებით მიმართა რუმინეთის დესპანს მოსკოვში ბ-ნ დავიდესკუს:

„1918 წელს რუმინეთმა, ისარგებლა რა რუსეთის სამხედრო სისუსტით, ძალადობით ჩამოაშორა საბჭოთა კავშირს (რუსეთს) მისი ტერიტორიის ნაწილი—ბესარაბია და ამით დაარღვია საუკუნეობრივი ერთიანობა ბესარაბიისა, რომელიც უმთავრესად უკრაინელებით არის დასახლებული, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკასთან.

საბჭოთა კავშირი არასოდეს არ ურიგდებოდა ბესარაბიის ძალადობით ჩამოშორების ფაქტს, რაც სსრ კავშირის მთავრობას არაერთხელ და აშკარად განუცხადებია მთელი მსოფლიოს წინაშე.

ახლა, როცა სსრ კავშირის სამხედრო სისუსტე წარსულს ჩაჰბარდა, ხოლო შექმნილი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული გადაუწყვეტელი საკითხების უსწრაფესად გადაწყვეტას იმისათვის, რომ, ბოლოსდაბოლოს, შეიქმნას ქვეყნებს შორის მტკიცე მშვიდობიანობის საფუძვლები, საბჭოთა კავშირს სამართლიანობის აღდგენის ინტერესებისათვის აუცილებლად და დროულად მიაჩნია რუმინეთთან ერთად შეუდგეს საბჭოთა კავშირისათვის ბესარაბიის დაბრუნების საკითხის დაუყონებლივ გადაწყვეტას.

სსრ კავშირის მთავრობა სთვლის, რომ ბესარაბიის დაბრუნების საკითხი ორგანიულად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისათვის ბუკოვინის იმ ნაწილის გადაცემის საკითხთან, რომლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაკავშირებულია საბჭოთა უკრაინასთან როგორც საერთო ისტორიული ბედით, ისე საერთო ენითა და ნაციონალური შემადგენლობით. ასეთი აქტი მით უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის გადაცემა შეიძლებოდა ყოფილიყო,—მართალია, მხოლოდ უმნიშვნელო ზომით—საშუალება იმ დიდი ზარალის ანაზღაურებისა, რომელიც მიაყენა საბჭოთა კავშირს და ბესარაბიის მოსახლეობას ბესარაბიაში რუმინეთის 22 წლის ბატონობამ.

სსრ კავშირის მთავრობა წინადადებას აძლევს რუმინეთის მეფის მთავრობას:

1. დაუბრუნოს ბესარაბია საბჭოთა კავშირს.
2. გადასცეს საბჭოთა კავშირს ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილი იმ საზღვრებში, რომლებიც აღნიშნულია თანდართულ რუკაზე.

სსრ კავშირის მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ რუმინეთის მეფის მთავრობა მიიღებს სსრ კავშირის ამ წინადადებებს და ამით შესაძლებელს გახდის მშვიდობიანი გზით გადაწყდეს გაჭიანურებული კონფლიქტი სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის.

სსრ კავშირის მთავრობა რუმინეთის მეფის მთავრობის პასუხს მოელის ა.-წ. 27 ივნისის განმავლობაში.

1940 წლის 26 ივნისი“.

27 ივნისს რუმინეთის დესპანმა ბ-მა დავიდესკუმ ამხ. მოლოტოვს გადასცა რუმინეთის მთავრობის ქვემომოყვანილი პასუხი:

„სსრ კავშირის მთავრობამ რუმინეთის მთავრობას მიმართა ნოტით, რომელიც 26 ივნისს, საღამოს 10 საათზე, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, მისმა აღმატებულებამ ბ-მა ვ. მოლოტოვმა გადასცა რუმინეთის მოსკოველ დესპანს ბ-ნ დავიდესკუს.

გამსჭვალული იმავე სურვილით, როგორითაც გამსჭვალულია საბჭოთა მთავრობა, რომ მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვეტილ იქნას ყველა საკითხი, რომლებსაც შეეძლოთ გამოეწვიათ უთანხმოებანი სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის. —მეფის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზად არის საერთო თანხმობით დაუყოვნებლივ შეუდგეს საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ ყველა წინადადებათა მეგობრულ განხილვას, ამ სიტყვის უაღრესად ფართო მნიშვნელობით.

შესაბამისად მეფის მთავრობა სთხოვს საბჭოთა მთავრობას ქეთილ-ინებოს გვაცნობოს ის ადგილი და თარიღი, რომელთა ფიქსირებაც მას სურს ამ მიზნისათვის.

როგორც კი რუმინეთის მთავრობა მიიღებს საბჭოთა მთავრობის პასუხს, იგი დანიშნავს დელეგატებს, და იმედოვნებს, რომ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვება სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის კეთილი თანხმობისა და მეგობრობის მტკიცე ურთიერთობის შექმნა.

1940 წლის 27 ივნისი“.

ამხ. მოლოტოვის მიერ დასმულ კითხვაზე, იღებს თუ არა რუმინეთის მთავრობა სსრ კავშირის მთავრობის წინადადებებს საბჭოთა კავშირისათვის ბესარაბიის და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის დაუყონებლივ გადაცემის შესახებ, ბ-ნმა დავიდესკუმ უპასუხა, რომ რუმინეთის მთავრობა ამ წინადადებებს იღებს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა გუშინ ბ-ნ დავიდესკუს გადასცა საბჭოთა მთავრობის შემდეგი პასუხი:

„სსრ კავშირის მთავრობას რუმინეთის მეფის მთავრობის 27 ივნისის პასუხი გაურკვევლად მიაჩნია, ვინაიდან მის პასუხში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ იგი იღებს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს საბჭოთა კავშირისათვის ბესარაბიის და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ, მაგრამ, რადგან რუმინეთის მოსკოველმა დესპანმა ბ-ნმა დავიდესკუმ განმარტა, რომ რუმინეთის მეფის მთავრობის ზემომოხსენებული პასუხი ნიშნავს მის თანხმობას საბჭოთა მთავრობის წინადადებებზე, სსრ კავშირის მთავრობა, ემყარება რა ბ-ნ დავიდესკუს ამ განმარტებას, წინადადებას იძლევა:

1. 4 დღის განმავლობაში, დაწყებული 28 ივნისის დღის 2 საათიდან მოსკოვის დროით, რუმინეთის ჯარმა დასტოვოს ბესარაბიის და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის ტერიტორია.
2. საბჭოთა ჯარმა ამავე პერიოდის განმავლობაში დაიკავოს ბესარაბიისა და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის ტერიტორია.
3. 28 ივნისის განმავლობაში საბჭოთა ჯარმა დაიკავოს პუნქტები: ჩერნოვიცი, კიშინიოვი, აკერმანი.
4. რუმინეთის მეფის მთავრობამ იკისროს პასუხისმგებლობა რკინიგზების, საორთქლმავლო და სავაგონო პარკის, ხიდების, საწყობების, აეროდრომების, სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურების, ტელეგრაფის დაცულობისათვის და გაფუჭების დაუშვებლობისათვის.
5. დანიშნულ იქნას კომისია საბჭოთა მთავრობისა და რუმინეთის მთავრობის წარმომადგენლებისაგან, ორ-ორი წარმომადგენელი თვითეული მხარისაგან, ბესარაბიიდან და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილიდან რუმინეთის ჯარისა და დაწესებულებების ევაკუაციის სადავო საკითხთა მოსაწესრიგებლად.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რათა რუმინეთის მეფის მთავრობამ ზემოაღნიშნულ წინადადებებზე პასუხი გასცეს არაუგვიანეს 28 ივნისის დღის 12 საათისა.

1940 წლის 27 ივნისი“.

28 ივნისს, დილის 11 საათზე, ბ-მა დავიდესკუმ ამხ. მოლოტოვს გადასცა რუმინეთის მთავრობის შემდეგი პასუხი საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ განცხადებაზე:

„რუმინეთის მთავრობა, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს თავიდან აიცილოს სერიოზული შედეგები, რომლებიც მოჰყვებოდა ევროპის ამ ნაწილში ძალის გამოყენებას და საომარი მოქმედების დაწყებას, ვალდებულად სთვლის თავს მიიღოს ევაკუაციის ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა მთავრობის პასუხში.

მაგრამ რუმინეთის მთავრობის სურვილი იქნებოდა, რათა 1 და 2 პუნქტებით გათვალისწინებული ვადა გაგრძელებული ყოფილიყო, ვინაიდან ტერიტორიების ევაკუაციის განხორციელება, წვიმებისა და წყალდიდობის გამო, რამაც გზები გააფუჭა, მეტისმეტად ძნელი იქნებოდა.

შერეული კომისია, რომელიც მე-5 პუნქტის თანახმად იქმნება, შესძლებდა ამ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

თუ ვინ იქნება ამ კომისიაში რუმინეთის წარმომადგენლებად, ამას გაცნობებთ დღის განმავლობაში.

1940 წლის 28 ივნისი“.

ამრიგად, რუმინეთის მთავრობამ მიიღო სსრ კავშირის მთავრობის წინადადება საბჭოთა კავშირისათვის ბესარაბიის და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის დაუყონებლივ გადაცემის შესახებ.

ამხ. მოლოტოვმა აცნობა ბ-ნ დავიდესკუს, რომ სსრ კავშირის წარმომადგენლებად საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომისიაში ბესარაბიიდან და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილიდან რუმინეთის ჯარისა და დაწესებულებების ევაკუაციის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად ინიშნებიან გენერალი კოზლოვი და გენერალი ბოდინი, რომლებიც მზად არიან დღესვე შეუდგნენ მუშაობას ქ. ოდესაში რუმინეთის წარმომადგენლებთან ერთად.

ამხ. მოლოტოვმა განუცხადა აგრეთვე ბ-ნ დავიდესკუს, რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის კომისია, თუ საჭირო გახდა, შესძლებს განიხილოს საბჭოთა მთავრობის 27 ივნისის წინადადებათა 1 და 2 პუნქტების შესრულების რამდენიმე საათით გადადების საკითხი.

ბ-ნმა დავიდესკუმ აღუთქვა დაუყონებლივ აცნობოს საბჭოთა მთავრობას, თუ ვინ იქნება რუმინეთის წარმომადგენლებად საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ზემოაღნიშნულ კომისიაში.

28 ივნისს, დღის სრულ 2 საათზე, საბჭოთა ჯარი დაიწყებს რუმინეთის საზღვრის გადასვლას ქალაქების—ჩერნოვიცის, კიშინიოვისა და აკერმანის დასაკავებლად.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

1. მიენიჭოთ საპატიო წოდებანი თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის შემდეგ მუშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თეატრალური ხელოვნების დარგში:

ა) **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება:**

შახ-აზიზოვს კონსტანტინე იაზონის-ძეს, თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს,

რუბინს აბრამ ისააკის-ძეს, მთავარ რეჟისორს.

ბ) **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება—თეატრის მსახიობებს:**

ბოდროვს ივანე ნიკიფორეს-ძეს,

ბრაგინს ვლადიმერ დავითის-ძეს,

ვრუბლევსკაიას ლიუდმილა ალექსანდრეს-ასულს,

გარინს კონსტანტინე ადოლფის-ძეს,

მიუფკეს კონსტანტინე კარლის-ძეს,

სატინას ეკატერინე ალექსანდრეს-ასულს,

სმირანინს ანატოლი დიმიტრის-ძეს,

შელეხოვას ნადეჟდა თევდორეს-ასულს.

2. დაჯილდოებულ იქნან **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით:**

ალექსანდროვი ალექსანდრე იაკობის-ძე, დასის მმართველი,

ბეიერი ვლადიმერ პეტრეს-ძე, კომპოზიტორი,

ბელეცკაია ბელა გიორგის-ასული, მსახიობი,

გრუდზინსკაია ნინო გიორგის-ასული, საკოსტუმერიო საამქროს გამგე,

დობროხოტოვა ნატალია ალექსანდრეს-ასული, მუზეუმის გამგე,

ივანოვ-გრდინი სიმონ ვასილის-ძე, მექანიკოსი—სცენის მემანქანე,

კუზარევი სიმონ პეტრეს-ძე, რეჟისორის თანაშემწე,

მარუსინა მარიამ ტიმოთეს-ასული, სარეკვიზიტო საამქროს გამგე,

რადოლინი თევდორე ვასილის-ძე, მსახიობი,

რეიზნერი ჰენრიხ მეიერის-ძე, მუსიკალური ნაწილის გამგე,

როდიონოვი ივანე ვასილის-ძე, მოკარნახე,

სმირნოვა ანტონინა დანიელის-ასული, მსახიობი,

ფეოდოროვა ევგენია თედორეს-ასული, მსახიობი,

შენდეროვი თედორე ნიკოლოზის-ძე, დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

თბილისი, 1940 წ. 28 ივნისი.

ორგანიზებულად მოვემზადოთ 1940 წლის მოსავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მისაღებად

(საუბარი სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარ ამხ. ვ. ა. დონსკისთან)

დამამზადებელი ორგანოების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზებულად შეხვდნენ ახალი მოსავლის პროდუქტების მიღებას.

ახლა მთავარ ამოცანას, რომელსაც დამზადების წარმატებით ჩატარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, წარმოადგენს სახელმწიფო ვალდებულებათა ჩაბარება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ოდენობა პირველად იქნება გამოანგარიშებული სახნავი მიწის თვითეულ ჰექტარზე. საჭიროა განსაკუთრებული გულმოდგინეობით ჩატარდეს ვალდებულებათა დოკუმენტაციის გაფორმება. ვალდებულებათა ჩაბარება უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 1940 წლის 10 ივლისისა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსავლიანობის გამორკვევას. მტს-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ნატურსაზღაური დიდ როლს ასრულებს პურის ჩაბარების საქმეში. ნატურსაზღაურის შემოსავლის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გულმოდგინედ და ორგანიზებულად ჩატარდება მოსავლიანობის გამორკვევა.

საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ მოსავლის შემცირების ყოველგვარ ცდას ისე, რომ ხელაღებით არ მივუდგეთ მოსავლიანობის გამორკვევას.

დამზადების ახალ სისტემაზე გადასვლა ბევრად ადიდებს დამამზადებელ ორგანიზაციათა პასუხისმგებლობას. დამზადების მზარდი მოცულობა (დამამზადებელი ორგანოები წელს სახელმწიფო ჩაბარების წესით პირველად მიიღებენ კომბოსტოს, სტაფილოს, კიტრს, პამიდორს, თავიან ხახვს, სუფრის ჭარხალს, თავს), აგრეთვე ის გარემოება, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს, მოითხოვენ, რათა, უწინარეს ყოვლისა, მთავარი ყურადღება მივაქციოთ საწყობების, ელევატორების, ბეღლების დროულად მომზადებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მისაღებად და შესანახავად.

შერეული პუნქტების საგრძნობლად შემცირება მიმდინარე წელს, მტს-ებისათვის ნატურსაზღაურის მიცემა სავალდებულო სახელმწიფო ჩაბარებისათვის დაწესებულ ვადებში, პურის გროვად შენახვის კატეგორიულად აკრძალვა (პურის გროვად შენახვისათვის დამნაშავე პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი) — ყოველივე ეს მოწმობს, თუ რამდენად გაიზარდა ამჟამად საწყობებისა და ელევატორების მნიშვნელობა. ამავე დროს, მათ მომზადებას ახალი მოსავლის მიღებისათვის ყველგან როდი ექცევა საჭირო ყურადღება. ტექნიკური ბაზის კაპიტალური რემონტის გეგმა 1 ივნისისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 58,8 პროცენტით. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სამხრეთ ოლქებშიც კი, სადაც ახალი მოსავლის მიღებამდე სულ რამდენიმე დღეღა დარჩა, ტექნიკური ბაზის რემონტის მდგომარეობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია. მაგრამ ტექნიკური ბაზის რემონტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის სავსებით მომზადებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების მისაღებად. საჭიროა დროზე და გულდასმით ჩატარდეს საწყობთა დეზინფექცია, ბეღლის მავნებლებთან ბრძოლა, შეკეთებულ იქნას დასატვირთი და გადმოსატვირთი მექანიზმები, ავტომობილები, ურმები, შემოწმდეს და შეკეთებულ იქნას ტარა, ბრეზენტები, მომზადდეს მარცვალსაწმენდი მანქანები. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წარმატებით ჩატარებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წარმატება უნდა უზრუნველჰყონ ადამიანებმა. დამამზადებელ ორგანოებში ცოტა როდი მუშაობს ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი. საჭიროა დავეყრდნოთ ამ ადამიანებს და დამამზადებელ ორგანოთა მუშაკებს შორის ნამდვილი მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება გავაჩაღოთ 1940 წლის დამზადებათა უკეთ მომზადებისა და ჩატარებისათვის.

სახელმწიფომ ნება დართო კოლმეურნეობებს სათესლე ნაკვეთებზე აღებული მარცვალი სათესლედ შეინახონ სახელმწიფო დამზადების შესრულებამდე. დამამზადებელი ორგანოების მუშაკები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ იმას, რომ ეს წესი არ იქნას დამახინჯებული, რომ შენახულ იქნას მხოლოდ სათესლე ნაკვეთებზე აღებული მარცვალი.

საჭიროა არ დავუშვათ კარგი ხარისხის მარცვლით დატვირთული ავტომანქანის ან საზიდარის უკან დაბრუნების არცერთი შემთხვევა და ამავე დროს საწყობებში მივიღოთ მხოლოდდამხოლოდ კარგი ხარისხის მარცვალი სამისოდ შემოღებული წესის (მარცვლის ტენიანობა, სისუფთავე და სხვ.) სრული შესაბამისობით.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მიმღები პუნქტების საღღეღამისო და შეუფერხებელი მუშაობა.

როგორც ვიცით, კოლმეურნეობას უფლება აქვს სახელმწიფო დამზადების შესრულებამდე დაიტოვოს გალეწილი მარცვლის 10 პროცენტი კოლმეურნეთათვის შრომადღეების ანგარიშში ავანსის მისაცემად, აგრეთვე სხვა შინასამეურნეო საჭიროებათათვის. გავითვალისწინოთ, რომ საკოლმეურნეო წყობილებისადმი მტრული ელემენტები შეეცდებიან გამოიყენონ კოლმეურნეთა ერთი ნაწილის ჩამორჩენილი განწყობილებანი, წააქეზონ ისინი შემოღებული წესის უხეშად დარღვევისათვის, წააქეზონ პურის განიავებისათვის სახელმწიფო ჩაბარებათა შესრულებამდე და სათესლე ფონდების შენახვამდე. დამამზადებელი ორგანოების მუშაკებმა უნდა უზრუნველჰყონ ნამდვილი სახელმწიფოებრივი კონტროლი კანონით დადგენილი წესის შესრულებისადმი.

ოლქები ზედი-ზედ ებმებიან მარცვლეულის მოსავლის მასობრივ აღებაში.

ამხანაგმა **სტალინმა** თავის სიტყვაში სოფლად მუშაობის შესახებ სთქვა: „...ნუ მოაკლებ ყურადღებას მთავარ ამოცანას, გაშალეთ პურის დამზადება მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან და დააჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნება — პურის დამზადების გეგმის შესრულება...“

სტალინის ეს მითითება საფუძვლად უნდა დაედოს მთელს ჩვენს მუშაობას, ამ მითითებით უნდა იხელმძღვანელოს დამამზადებელი ორგანოების თვითეულმა მუშაკმა. ეს მითითება უნდა შევასრულოთ, როგორც ბოლშევიკებს შეჰფერით. (საკდესი).

ფერგანის სამხრეთის არხის ამუშავება

ტაშკენტი, 27 ივნისი (საკდესი). დღეს მოხდა ფერგანის სამხრეთის არხის საზეიმო ამუშავება. ათიათასობით მშენებლების და ფერგანის მთელი ველიდან ჩამოსული სტუმრების თანადასწრებით სოფელ ტალმაზართან გაიხსნა რაბები. წყლის ნაკადი შხუილით წავიდა ახალი კალაპოტით, რომლის მანძილი 40 კილომეტრს აღემატება.

უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. უსმან იუსუფოვმა მხურვალედ მიულოცა ფერგანის კოლმეურნეებს ახალი გამარჯვება. მთელ 109-კილომეტრიან ტრასზე ფერგანის სამხრეთის არხი მწყობრში ჩადგა. ყარა-დარიის მდინარის წყლები ამიერიდან მიედინებიან იმ არხით, რომელიც კოლმეურნეთა 50-ათასიანმა არმიამ გაიყვანა მაღალ ქედებსა და კლდეებს შორის.

ფერგანის სამხრეთის არხი საშუალებას მოგვცემს ავითვისოთ ათიათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწები, რომლებიც ამჟამად ცარიელია.

მშენებლები და სტუმრები საღამოს ქ. მარგელანში შეიკრიბნენ. გაიმართა სახალხო სეირნობა.

დამთავრდა ბავშვთა შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა

საქართველოს ბავშვთა შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა დამთავრდა 28 ივნისს. ოლიმპიადის მეოთხე დღის პროგრამაში საერთო ყურადღება მიიპყრო სამხრეთ-ოსეთის ბავშვთა გამოსვლამ. კარგად ჟღერდა გუნდი, ნელი ჩარკვიანმა კარგად შეასრულა ბალანჩივაძის „ნანა“, მაგრამ ყველაზე შესანიშნავი იყო ცეკვები. განსაკუთრებით მაღალი ოსტატობით შესრულებულ იქნა „მესაზღვრე პიონერთა ცეკვა“, „ზილგა“, ინდივიდუალური ცეკვები ვასო ჯატიევის, ჩერმენ სანაკოევის და განსაკუთრებით პატარა ჩერმენ აბაევის ოსტატური შესრულებით.

რაიონებიდან უნდა გამოვყოთ აბაშა, რომელმაც გამოიყვანა კარგად მომზადებული გუნდი ორიგინალური რეპერტუარით, და ზემოსვანეთი — „ცეროულის“ კარგად შესრულებისათვის. საერთოდ საანგარიშო საღამოზე მთელი რიგი რაიონები კარგად გამოიყურებოდნენ. ასეთებია: ჩოხატაური, ხობი, ბოგდანოვკა, თბილისის რაიონი (ავჭალის სკოლის გუნდი ეგიაზაროვას ხელმძღვანელობით და კოჯრის ბავშვთა სიმებიანი ორკესტრი), ახბულაღი, ხაშური (გუნდი თინა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით), ჩოროწყუ, ცაგერი (ფერხულები), ამბროლაური, ზესტაფონი და სიღნაღი.

თბილისელებიდან უთუოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი სკოლების წარმატება: პირველი სკოლა (ძლიერი გუნდი ი. კალანდაძის ხელმძღვანელობით), მე-60 სკოლა (გუნდი რუდენკოს ხელმძღვანელობით), მე-20 სკოლა (მეჩონგურეთა ანსამბლი ქ. მეგრელიძის ხელმძღვანელობით), მე-47 სკოლა (ხმაურიანმა ორკესტრმა გასპაროვის ხელმძღვანელობით კარგად შესრულა სიმღერები „საყვარელი ქალაქი“ და „წყლის მზიდავი“). ინდივიდუალურ მონაწილეთაგან უნდა აღინიშნოთ შემდეგი მოსწავლეები: ზ. პეტრენკო (მე-18 სკოლა), ლენა საყვარელიძე (წაიკითხა საკუთარი ლექსი), სტ. გიორგაძე (მე-16 სკოლა, კარგად იცეკვა მთიულური), ქ. მახარაძე (დეკლამაცია), რ. თაბუკაშვილი (წაიკითხა საკუთარი ლექსი).

ოლიმპიადა დამთავრდა. ჟიური შეარჩევს საუკეთესო შემსრულებლებს მოსკოვს, საკავშირო ოლიმპიადაზე გასაგზავნად. განსახკომი და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო დასკვნებს გამოიტანენ ამ ოლიმპიადის გამოცდილებიდან.

ოლიმპიადამ გვიჩვენა, თუ რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, რამდენ ინიციატივას, ხალისს და სიყვარულს იჩენს ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა თვითშემოქმედებისადმი. უდავოა, ოლიმპიადის მონაწილეთაგან შერჩეული საუკეთესო შემსრულებელნი ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს ახალგაზრდობას საკავშირო ოლიმპიადაზე.

ამიერიდან ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადა ყოველ წელს გაიმართება. ვიმედოვნებთ, რომ მომავალ ზაფხულზე რაიონები წლევანდელი გამოცდილების შემდეგ უფრო მომზადებული გამოვლენ.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ჯარმა მიაღწია საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარს

ნიუ-იორკი, 28 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, გერმანიის ჯარმა მიაღწია საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარს ირუნის პირდაპირ. ამერიკის შეერთებული შტატების მადრიდის საელჩოს წარმომადგენლები გერმანელ ოფიცრებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ ამერიკის მოქალაქეთა ევაკუაციის შესახებ.

იტალიის მონაწილეობა ინგლისის წინააღმდეგ გერმანიის მომავალ ოპერაციებში

რომი, 28 ივნისი (საკდესი). ოფიციალურ წრეებში ადასტურებენ, რომ იტალიის სამხედრო ძალები მონაწილეობას მიიღებენ მომავალ შეტევაში ინგლისის ტერიტორიაზე.

პიერლოს განცხადება

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, როგორც ბელგიის პრემიერმა პიერლომ განაცხადა, ბელგიის მთავრობა შუამდგომლობს გერმანიის მთავრობის წინაშე—ნება დართოს ბელგიის მოქალაქეებს, ჯარისკაცებსა და მოსამსახურეებს დაბრუნდნენ ბელგიაში.

სირიამ შესწყვიტა საომარი მოქმედება

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს სირიაში მყოფი საფრანგეთის ჯარის სარდალმა გენერალმა მიტელ ჰაუზერმა განაცხადა, რომ სირიამ შესწყვიტა საომარი მოქმედება.

კომუნისტური პარტიის აკრძალვა კანადაში

ლონდონი, 28 ივნისი (საკდესი). კანადის გაზეთების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კანადის მთავრობამ კანონგარეშე გამოაცხადა კომუნისტური პარტია. გარდა ამისა, აკრძალულია კიდევ 15 სხვა ორგანიზაცია, მათ შორის „კანადის უკრაინელი ახალგაზრდობის ფედერაცია“.

სოციალისტური შრომა საბჭოთა ადამიანების სიამაყეა

წარმოების დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ

საუბარი სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისართან ამხ. ნ. მ. რიჩკოვთან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება „რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ" განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია. საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ბრძანებულებას, რადგან იგი შეეფერება ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის საარსებო ინტერესებს. სსრ კავშირის მილიონობით მშრომელნი სავსებით იწონებენ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ამ აქტს.

ბრძანებულებაში გათვალისწინებულ ღონისძიებათა ზუსტად და განუხრელად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სასამართლოს ორგანოებს დაკისრებული აქვთ პასუხსაგები ამოცანა. მათ უნდა განახორციელონ ფრენიებთან, სამუშაოს გამცდენებთან და წარმოების დეზორგანიზატორებთან ბრძოლის ღონისძიებანი. ამიტომ სასამართლოს ყველა მუშაკი მოვალეა საფუძვლიანად მოემზადოს ამ სამუშაოსათვის, ზედმიწევნით შეისწავლოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი პერიფერიაში გზავნის სახალხო კომისარიატის 25 პასუხისმგებელ მუშაკს და სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი სასამართლოების წევრებს. ისინი დაეხმარებიან ადგილობრივ სასამართლო ორგანოებს სწორად მოაწყონ ბრძოლა წარმოების დეზორგანიზატორებთან.

ბრძანებულების მე-6 მუხლი ითვალისწინებს, რომ საწარმოთა დირექტორები და დაწესებულებათა უფროსები, რომელნიც თავს აარიდებენ იმ პირთა სამართალში მიცემას, ვისაც დანაშაული მიუძღვის საპატიო მიზეზის უქონლად საწარმოდან და დაწესებულებებიდან თვითნებურად წასვლაში და სამუშაოს გაცდენაში, აგრეთვე სამუშაოზე მიიღებენ იმ პირებს, ვინც კანონს გაურბის, თვითნებურად წავიდა საწარმოდან და დაწესებულებიდან,— სამართალში უნდა იქნენ მიცემულნი. სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა სასამართლო ორგანოებს კანონის ეს დარღვევანი კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ძალა-უფლების ბოროტად გამოყენება ან ხელისუფლების უმოქმედობა — რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-109 და 111 მუხლებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა შესაბამისი კოდექსების თანახმად.

სასამართლოების განაჩენები საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის საქმეზე, აგრეთვე საპატიო მიზეზის უქონლად სამუშაოს გაცდენის საქმეზე დაუყოვნებლივ უნდა იქნას სისრულეში მოყვანილი.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი სახალხო სასამართლოების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის საქმეზე, აგრეთვე სამუშაოს გაცდენის საქმეებზე სასამართლო პროცესების სწორ ორგანიზაციას. ეს საქმეები განხილულ უნდა იქნას საწარმოსა და დაწესებულებაში სასამართლოს გამსვლელ სხდომაზე.

საჭიროა ისე მოეწყოს სასამართლო პროცესები, რომ ამ პროცესებმა ყველა მუშა და მოსამსახურე დარაზმოს შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, ფრენიებთან და სამუშაოს გამცდენებთან საბრძოლველად. (საქდესი).

თბილისის პროკურორების საქალაქო თათბირი

8 საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით, 27 ივნისს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის ამხ. ს. ჯანჯღავას თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის რაიონების პროკურორთა საქალაქო თათბირი.

თათბირზე პროკურორთა ყურადღება გამახვილებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების ცხოვრებაში განუხრელად გატარებაზე, რაიონის პროკურორებს დაევალათ ბრძანებულების გამოსვლის დღიდანვე შეამოწმონ მათ რაიონში არსებული წარმოება-დაწესებულებები და თვალყური ადევნონ ამ ბრძანებულების ცხოვრებაში განუხრელად გატარებას.

მათვე დაევალათ, 5 დღის ვადაში გადასცენ სახალხო სასამართლოებს ყველა საქმე, რომლებიც ამ ბრძანებულების საფუძველზე იქნება შედგენილი და დამნაშავეთა საჩვენებელი გასამართლება მოაწყონ იმ წარმოება-დაწესებულებაში, სადაც მოხდა შემთხვევა. თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა პროკურორებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ საჩვენებელ პროცესებში.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის ამხ. ნ. მ. რიჩკოვისა და სსრ კავშირის პროკურორის ამხ. მ. ი. პანკრატიევის ბრძანების საფუძველზე გასცა ბრძანება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წ. 26 ივნისის დადგენილების ცხოვრებაში ურყევად გატარების შესახებ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა ამხ. ს. ჯანჯღავამ, რომელმაც დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი და მითითება მისცა რაიპროკურორებს აღნიშნული საქმის წარმატებით შესრულებაში ჩააბან პროკურატურის დამხმარე ჯგუფები და ფართო საზოგადოებრივობა.

აიღეს კონკრეტული ვალდებულებები

(სამტრედია, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

სამტრედიის რაიონის მშრომელებში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მიმართვამ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ 8 საათის სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ.

რკინიგზის კვანძის ათასხუთასიანი კოლექტივის მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველებმა და მემანქანე-კრივონოსელებმა სპირიდონ აბზიანიძემ, კოსტა ახობაძემ, პარმენ სტურუამ, მაკარი ზაქრაძემ და სხვებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებები. მათ იკისრეს, რომ ქვეყანას მისცემენ მეტ პროდუქციას.

დიდი აქტივობით ჩატარდა მიტინგები აგრეთვე ჩაის მექანიკურ და საკონსერვო ქარხნებში და ძაფსალეჩ ფაბრიკაში.

27 ივნისიდან რაიონის ყველა საწარმო 8 საათის სამუშაო დღეზე გადავიდა.

გ. სიხარულიძე.

ახალი შემოქმედებითი აღმავლობა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი უსაზღვრო სიხარულით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას—რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ. 27 ივნისიდან დაიწყო ბრძანებულების პრაქტიკულად განხორციელება. უნივერსიტეტის რექტორის ამხ. დ. ყიფშიძის ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის ყველა მუშაკი გადაყვანილია რვა საათის სამუშაო დღესა და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე. სისტემატურად სწარმოებს კონტროლი.

8 საათის სამუშაო დღესა და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა ახალ შემოქმედებით აღმავლობას იწვევს მთელი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. პროფესორებს, ლექტორებს, დოცენტებს, ფაკულტეტთა დეკანებს საშუალება ეძლევათ საგრძნობლად ასწიონ სასწავლო პროგრამის შესრულების რაოდენობა და ხარისხი. გაუმჯობესდება სტუდენტთა აკადემიური წარმატებაც, რადგან მათ დრო მეტი ექნებათ მუშაობისათვის. აღარ იქნება საგნების ჩაუბარებლობის შემთხვევები, რასაც დღემდე აქვს ადგილი.

უნივერსიტეტს აქვს გამომცემლობა, სადაც იბეჭდება მეცნიერ-მუშაკთა ნაშრომები, სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნები სტუდენტთათვის. გამომცემლობას ახლა საშუალება ეძლევა გააფართოვოს თავისი ბაზა და დროზე გამოსცეს დამხმარე და სახელმძღვანელო ლიტერატურა.

მრავალ დაწესებულებას ზედმეტ მუშაობაში უამრავი თანხები ეხარჯებოდა. ამას ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტშიც. 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება ასეთ ხარჯებს უეჭველად შეამცირებს და მაქსიმალურად შეამჭიდროებს მთელ სამუშაო დროს.

26 ივნისის ბრძანებულება უკვე შევიდა ძალაში და პირველი ნაბიჯები მის განსახორციელებლად გადადგმულია.

თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში

სადილობის შესვენების დროს თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის საამქროებში გაიმართა ხალხმრავალი კრებები, რომლებიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას. მუშები მხურვალედ მიესალმნენ სამუშაო დღის ხანგრძლივობის გადიდებას, შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლას და მთავრობის გადაწყვეტილებას საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშა - მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ.

თავიანთ გამოსვლებში ისინი ამბობდნენ: „ამ ღონისძიებებს უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, ისინი კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს მრეწველობას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას".

პირველ 8-საათიან სამუშაო დღეს სართავი ფაბრიკის პირველმა ცვლამ გეგმის გადამეტებით 171 კილოგრამი ნართი დაამზადა. (საქდესი).

პირნათლად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშები, სპეციალისტები და მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიმართვას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას 8 საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას 8 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით გამომუშავების ნორმების გადიდებისა და შეფასებათა შემცირების შესახებ.

ამ ღონისძიებათა განუხრელად გატარება ფაბრიკას საშუალებას მისცემს სოციალისტურ სამშობლოს დაუმზადოს მეტი ქსოვილი: მაუდი, შალეული, მაღალი ხარისხის კამვოლური ნაწარმი, კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

8-საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლით მარტო მაუდის საამქრო ერთი თვის განმავლობაში 7412 კილოგრამით მეტ ნართს დაამზადებს, კამვოლური საამქრო—8.805 კილოგრამით მეტ ნართს. ამასთანავე ხამი ქსოვილის დამზადება გადიდდება 24190 მეტრით. 6 თვის განმავლობაში კი ფაბრიკა დაამზადებს 97.272 კილოგრამით მეტ მაუდ-კამვოლურ მზანაწარმს და 120.000 მეტრით მეტ ხამ ქსოვილს, ანუ 717.000 მანეთით მეტ პროდუქციას, ვიდრე ახლა ამზადებს.

ეს ცოტა როდია. სხვა საწარმოებთან ერთად, ჩვენი ფაბრიკის ნაყოფიერების ასე ზრდა დიდათ შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიურად განმტკიცებას, ამ საგნებზე მშრომელთა მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებას.

გამომუშავების ნორმების გადიდებისა და შეფასებების შემცირების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში ურყევად გატარების უზრუნველსაყოფად ჩვენ მოვიწვიეთ ყველა საამქროს ნორმადართა და სხვა სპეციალისტთა თათბირი. ნორმადრებს დავავალეთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად საამქროებში მოახდინონ ნორმებისა და შეფასებათა გადაანგარიშება.

ამჟამად ეს მუშაობა უკვე დამთავრებულია. 8-საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით შეფასებები ჩვენთან შემცირდა 12.5 პროცენტით, ხოლო ნორმები გადიდდა 14,2 პროცენტით. მაგალითად, თუ მატყლსარეცხ საამქროში 7 საათის განმავლობაში უნდა დაეხარისხებიათ 2417 კილოგრამი მატყლი, ახლა, 8 საათის განმავლობაში დაახარისხებენ 2762 კილოგრამ მატყლს. თავისთავად ცხადია, რომ შრომის ნაყოფიერების 14,2 პროცენტით ზრდა ფაბრიკას საშუალებას მისცემს ვადამდე შეასრულოს მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის საწარმოო დავალება და ქვეყანას უხვად დაუმზადოს მაღალხარისხოვანი მაუდი და კამვოლური ნაწარმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თანახმად ჩვენი ფაბრიკა უკვე 8-საათის სამუშაო დღეზე გადავიდა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ზომები სამუშაო დროის შემჭიდროებისა და მაქსიმალურად დატვირთვისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის, დიდი **სტალინის** წინაშე.

ო. მდინარაძე

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ყოველდღიურად დამატებით 42.000 მანეთის პროდუქცია

27 ივნისიდან შევიდა ძალაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ". პირველსავე დღეს ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა-გიგანტში საუცხოო ეფექტი მივიღეთ.

27 ივნისს ფაბრიკამ გამოუშვა 17.474 წყვილი სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელი. ეს უდრის ყოველდღიური საწარმოო დავალების 112,1 პროცენტს. წინა დღეს კი ფაბრიკამ გამოუშვა 15.276 წყვილი ფეხსაცმელი, ანუ გეგმა 100 პროცენტით შესრულდა.

მაგრამ ეს პირველი დღე იყო. უახლოეს დღეებში ფაბრიკა ქვეყანას ყოველდღიურად დამატებით მისცემს 2430 წყვილ ფეხსაცმელს. საფაბრიკო ფასზე რომ გადავიტანოთ, ეს უდრის 42.000 მანეთს, ხოლო დარჩენილი ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკა ქვეყანას მისცემს 7 მილიონი მანეთის პროდუქციას.

8 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა და ამასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება საბოლოოდ გააჯანსაღებს ჩვენს ფაბრიკას. საქმე ისაა, რომ ჩვენთან შრომისნაყოფიერებაც მეტი იქნებოდა და პროდუქციის ხარისხიც უკეთესი, რომ ადგილი არ ჰქონოდა მუშათა დენადობას. 5 თვის განმავლობაში, იანვრიდან ივნისამდე, ფაბრიკაში სამუშაოდ მიღებულია 1.050 კაცი. ამავე ხნის განმავლობაში სამუშაოდან მოხსნილია 950 კაცი. მათ შორის სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის მოხსნილია 546 კაცი, დაგვიანებისთვის — 71, შრომის დისციპლინის დარღვევისთვის 65 და ა. შ. ერთი სიტყვით, ფაბრიკის მუშათა საერთო რიცხვი ყოველწლიურად იცვლებოდა 70-75 პროცენტით. გამოდიოდა ისეთი მდგომარეობა, რომ მოსულ მუშებს შევასწავლიდით თუ არა ფეხსაცმლის წარმოების სპეციფიკას, მიდიოდნენ კიდევაც სამუშაოდან, და როცა მათ მაგიერ ახალ ხალხს მივიღებდით, მათ ტექნიკურ მომზადებას ხელახლა ვიწყებდით.

ახალი კანონის განხორციელებით ყველაფერ ამას ბოლო მოეღება.

უკვე გვაქვს იმის მაჩვენებლები, თუ ახალი ღონისძიებების განხორციელებამ როგორ აამაღლა მუშებს შორის პასუხისმგებლობის გრძნობა. 25 ივნისს, მაგალითად, ფაბრიკაში სამუშაოდ გამოცხადება დააგვიანა 20 კაცმა. 27 ივნისს კი არც ერთ მუშას არ დაუგვიანია.

დ. მურმანიძე

ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის ტექნიკური დირექტორი.

გამცდენი სამართალში მისცეს

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებას. ტრესტის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყეს ამ ბრძანებულების გულდასმით გაცნობა ცალკეულ საამქროებში და სერიოზულად მოჰკიდეს ხელი მის შესრულებას.

27 ივნისიდან ტრესტის ყველა განყოფილება, საამქრო და ცვლა გადავიდა 8-საათიან სამუშაო დღეზე. ადმინისტრაციამ დროულად დააწესა სამუშაოზე გამოცხადების, მუშაობის დამთავრებისა და შესვენების ახალი გრაფიკი. 8-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით ტრესტის საგეგმო განყოფილება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების გამოქვეყნებისთანავე შეუდგა გამომუშავების ნორმების გადიდებას.

ბრძანებულების საფუძველზე კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა გამცდენებისა და ფრენიების წინააღმდეგ. ტრესტის ადმინისტრაციამ სამართალში მისცა მექანიკური საამქროს დამხმარე მუშა, შრომის დეზერტირი გიორგი გვენცაძე, რომელმაც 27 ივნისს დემონსტრატიულად მიატოვა სამუშაო. გ. გვენცაძე მიმდინარე წლის 26 მარტამდე თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატში მუშაობდა მზეთავად, საიდანაც გაცდენისათვის დაითხოვეს. ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტში იგი თვენახევრის წინათ მიიღეს, მიუხედავად ამისა მან კვლავ დეზერტირობა დაიწყო.

ტრამვაელი მუშები ენერგიულად იბრძვიან შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, მაგრამ ამისათვის მათ ყოველთვის როდი უწევენ სათანადო დახმარებას. მაგალითად, ვაგონი № 101, მიმდინარე შეკეთების საამქროში 28 ივნისს დილის 8 საათზე მიიღეს. მას ესაჭიროებოდა რესორის გამოცვლა, რაც ნორმით 10-15 წუთში უნდა გაკეთებულიყო. ეს ნაწილი საამქროს მარაგში არ ჰქონდა, რამაც გამოიწვია ვაგონის რამდენიმე საათით მოცდენა. ვაგონი № 48 მიმდინარე შეკეთების საამქროს მეორე ცვლამ მიიღო 27 ივნისს; ის იმავე დღეს უნდა გამოეშვათ. ვაგონს ესაჭიროებოდა დიდი კბილანას სოგმანის გამოცვლა, მაგრამ რადგან ის დროულად არ დაამზადეს, ვაგონი 28 ივნისსაც არ იყო გასული ხაზზე სამუშაოდ. საჭირო მასალების დაგვიანებით მიწოდება ხშირად იწვევს მუშების მოცდენას და შრომის ნაყოფიერების შემცირებას.

ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის ხელმძღვანელებმა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ვიძლევით მეტ ქვანახშირს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ, რომელიც 27 ივნისს შევიდა ძალაში, ტყიბულის მაღაროელებში დიდი მოწონება გამოიწვია. ამ ღონისძიებით მივაღწევთ ქვანახშირის ამოღების მძლავრ აღმავლობას.

27 ივნისიდან ქვანახშირის სადღეღამისო ამოღების გეგმა ლენინის სახელობის მაღაროში 133 ტონით გაიზარდა, სტალინის სახელობის მაღაროში — 49 ტონით, ხოლო გელათის მაღაროში—33 ტონით, სულ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი დღეღამეში ამიერიდან ზედმეტად მოგვცემს 215 ტონა ქვანახშირს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ 1940 წლის ბოლომდე ქვეყანას გეგმის ზევით მივცეთ 33.800 ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან კვირაზე გადასვლით ლენინის სახელობის მაღარო წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოგვცემს 20.900 ტონა ქვანახშირს, სტალინის სახელობის მაღარო — 7700 ტონას, გელათის მაღარო — 5200 ტონას.

ამ ღონისძიების ფასდაუდებელი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი დაგვეხმარება ავლაგმოთ შრომის დეზორგანიზატორები, ქვეყანას მივცეთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

ტყიბულის მაღაროელთა საწარმოო ენთუზიაზმი იმის თავდებია, რომ ქვანახშირის ტრესტი ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულებს ქვანახშირის ამოღების წლიურ გეგმას.

დ. ჩიქვაიძე

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მმართველი.

გრ. გორგიძე

ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორი.

აკ. კუბლაშვილი

სტალინის სახელობის მაღაროს დირექტორი.

○

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის მიტინგი. მიტინგზე დიდის აღფრთოვანებით მოწონებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რვა საათის სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლისა და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ.

ფოტო კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

დანიელ ჭონქაძე

(გარდაცვალებიდან 80 წლისთავის გამო)

80 წლის წინათ გარდაიცვალა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი მწერალი დანიელ ჭონქაძე.

სულ ოცდაათი წელი იცოცხლა დანიელმა, იგი დაიბადა 1830 წელს და გარდაიცვალა 1860 წლის 29 ივნისს. მისი ხანმოკლე ცხოვრება იყო მარტოოდენ ტანჯვა-წამება, ავადმყოფობა, შრომა და შეუდრეკელი ბრძოლა მშრომელი გლეხების მჩაგვრელთა წინააღმდეგ.



ბუნებით ფაქიზს და ფიზიკურად სუსტ დანიელს ხშირად ჰქონდა კონფლიქტი თავის სამშობლო დუშეთის მაზრის სოფელ ყვავილის (რომელიც ახლა მწერლის სახელს ატარებს), მემამულე თავადებთან — ყარანგოზიშვილებთან.

დანიელ ჭონქაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის სასულიერო სემინარიის ისტორიასთან.

1845-დან 1851 წლამდე დანიელ ჭონქაძე სემინარიის მოწაფე იყო, ხოლო 1855-დან 1860 წლამდე, ე. ი. სიკვდილამდე, სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა.

უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა უამრავი საარქივო მასალები, რომლებიც ნათელს ჰფენს დანიელ ჭონქაძის მოწაფეობის ხანას. დასტურდება, რომ ის ერთერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და ბავშვობიდანვე დიდ იმედებს იძლეოდა.

1851 წელს დანიელ ჭონქაძემ დაამთავრა სემინარიის სრული კურსი პირველი ხარისხით და იმავე წლის 11 სექტემბერს დაინიშნა ოსური ენის მასწავლებლად კავკავში. აქ მან ცოლად შეირთო ანა თედორეს-ასული ფეოდოროვა.

1855 წლის იანვარში თბილისის სემინარიაში განთავისუფლდა ოსური ენის მასწავლებლის ადგილი. დანიელმა ითხოვა თბილისს გადმოსვლა და ეს თხოვნა დააკმაყოფილეს 1855 წლის აპრილში.

დანიელის ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე 1855 წლის სექტემბერში ხოლერით გარდაეცვალა საყვარელი მეუღლე, რომლისგანაც დარჩა ერთი თვისა და რვა დღის ვაჟი გიორგი.

თბილისში გადმოსული დანიელი მარტო მასწავლებლობით არ დაკმაყოფილებულა. მან გაჩაღა ლიტერატურული საქმიანობა და მწერლობასთან ერთად გარკვეულ მეცნიერულ მუშაობასაც მოჰკიდა ხელი. თავის ცოლისძმას ივანე ფეოდოროვს დანიელი სწერდა: „...სახელმწიფო სამეცნიერო აკადემიამ შარშანწინ მომანდო ოსური ლექსიკონის შედგენა და მე მოვეკიდე ამ საქმეს მთელი ჩემი ენერგიით, როგორც შეშვენის ახალგაზრდას, რომელსაც წინ წაწევა სწყურია". დანიელს ეს მეტად საპატიო და სასახელო საქმე ვერ დაუმთავრებია. „ეს შრომა ჯერ კიდევ სამ ასოზედაც არ მქონდა შედგენილი, რომ დამიწყო სისხლის ღებინება",—სწერს გულდაწყვეტილი მწერალი იმავე წერილში თავის ცოლისძმას.

ამ მეტად საინტერესო წერილში დანიელი „სურამის ციხის" დაწერას და ამ მოთხრობით განაწყენებული მემამულეების გაბრაზებასაც ეხება: „სამწუხაროდ, ისეთი წყეული ხასიათი მაქვს, რომ სამსახურს გარდა უსათუოდ მინდა სხვა რამეც ვაკეთო. ხელი მოვკიდე ქართულ ლიტერატურას (აქ ქართულ ენაზე ერთი ჟურნალი გამოდის, ახალგაზრდობა მხარს უჭერს მას მთელი თავისი ძალღონით, ეროვნული გრძნობა იღვიძებს) და დავწერე ერთი მოთხრობა სათაურით „სურამის ციხე". მოთხრობას კარგად შეხვდა საზოგადოება, ზოგიერთი უვიცი მემამულის გარდა, რომელთაც ვაწყენინე გლეხის საკითხით. ამით წაქეზებული შევუდექი ახალ შრომას, მაგრამ ღმერთმა აღარ დამაცალა მისი დამთავრება".

დანიელი დაძაბულ მეცნიერულ საქმიანობასაც ეწეოდა: ის აგროვებდა ანდაზებს, ზღაპრებს, თქმულებებს, იკვლევდა და შენიშვნებს უკეთებდა განსაკუთრებით ქურთათინის ოსების წარმოშობის საკითხს და სხვა. მაგრამ დანიელი ცნობილი და მშრომელი ხალხის საყვარელი მწერალი გახდა მხოლოდ თავისი „სურამის ციხით".

ამ მოთხრობით დანიელმა შეაშფოთა ფეოდალთა წრეები. ყმების დამრბევ-ამწიოკებელი მემამულეები მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა მთელი ქვეყნის დასანახავად.

„სურამის ციხე" საბრალდებო აქტი იყო ჯალათ მებატონეთა წინააღმდეგ და ეს მოთხრობა, როგორც საჯარო გასამართლება ბატონ-ყმურ სისტემისა, უეჭველად დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა დანიელს სიცოცხლედ დაუჯდებოდა, რომ შემთხვევით არ გადარჩენილიყო. „სურამის ციხის" გამოქვეყნების შემდეგ დანიელ ჭონქაძეს ღვინით გალეშილმა თავადებმა ერთხელ კლუბში ცემა დაუპირეს, მაგრამ რაღაც მიზეზით ეს ვერ მოხერხდა. მეორედ გაბოროტებულმა ფეოდალებმა მწერალს კუკიის ხიდიდან წყალში გადაგდება დაუპირეს, მაგრამ დანიელ ჭონქაძემ აქაც თავს უშველა.

„სურამის ციხით" დანიელმა თავადებთან ერთად სამღვდელოებაც საკმაო სიმწვავით გამათრახა და ბნელი საქმიანობით ცნობილ ხუცობას ჯაშუშობა დაუმტკიცა. „სულიერი მამების" აქტიური მონაწილეობა ყმების ყიდვა-გაყიდვაში დანიელმა სრული სინამდვილით ასახა.

ოთხმოცი წელი გავიდა დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან და ამაზე მეტი „სურამის ციხის" გამოქვეყნებიდან. მის სახელს დღეს კიდევ უფრო დიდი სიყვარულით იგონებენ სტალინური სიბრძნით აყვავებული ჩვენი ქვეყნის მშრომელნი, და რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, როგორც „სურამის ციხეს", ისე მის უკვდავ ავტორს ყოველთვის საპატიო ადგილი ექნებათ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

არკ. ხუნდაძე.

მოსავლის აღება დაიწყო

მცხეთა, 28 ივნისი (**ტელეგრაფით**). მცხეთის რაიონში დაიწყო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. 27 ივნისს სოფ. მუხრანის ტელმანის სახელობის, სოფ. წეროვნის კიროვის სახელობის, სოფ. ნატახტარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა პირველმა დაიწყეს მოსავლის აღება.

ამ საქმეზე სამი კომბაინი მუშაობს. პირველ დღეს მოსავალი აღებულ იქნა 15 ჰექტარზე.

თავთავიანი მარცვლეულის აღება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი

გ. ცხოვრებაშვილი

გუფთა-ჩასავალის გზატკეცილის მშენებლობაზე

(სტალინირი, ტელეფონით „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

15 ივნისიდან გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს გუფთა-ჩასავალის დიდი გზატკეცილის გასაყვანად. გზატკეცილი მალე ონის რაიონს შეუერთდება. 3 ათასამდე კოლმეურნე და კოლმეურნე-ქალი გაათკეცებული ენერგიით ებრძვის მთაგორებს, ღრანტეებს.

სამუშაოთა ფრონტი ამჟამად 25 კილომეტრზეა გაჭიმული. კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები, რომელნიც საწარმოო ბრიგადებად არიან დაყოფილნი, შრომის ნამდვილ სასწაულებს ახდენენ. მათ განცვიფრებაში მოჰყავთ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, 15 დღის სამუშაოს 4-5 დღეში აკეთებენ. სოფ. ვანელის კოლმეურნეობის წევრები ყოველმხრივ მომზადებული მოვიდნენ გზაზე სამუშაოდ. მათ მოიტანეს სამუშაო იარაღები — ნიჩბები, წერაქვები, რკინის ძალაყინები და სხვ. მუშაობას იწყებდნენ დილის 6 საათზე და შებინდებამდე მუშაობდნენ. ვანელელი კოლმეურნეები ფართოდ იყენებდნენ შრომის სტახანოვურ მეთოდებს, ბრიგადის წევრებს შორის გაშლილი იყო სოცშეჯიბრება. თავდადებული მუშაობის შედეგად ბრიგადამ 15 დღის სამუშაო 4 დღეში დაამთავრა. განსაკუთრებით ისახელეს თავი კოლმეურნეებმა ა. ჩადიევმა, ფ. გაგლოევმა, ხ. ჩადიევმა, მ. გაგლოევმა და სხვ. ბრიგადის მუშაობას ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გაგლოევი. 15 დღის სამუშაო 4 დღეში დაამთავრეს აგრეთვე სოფ. წონის, მსხლების, ბართკოდიბინას და ფაწის კოლმეურნეობებმა. პირველ სამშენებლო უბანზე სოფ. წონის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადა მუშაობის დამთავრების შემდეგ მიეხმარა ამავე კოლმეურნეობის პირველ ბრიგადას სოფ. ხანიუდონთან.

სწრაფად და ორგანიზებულად მიმდინარეობს მიწის სამუშაოები მეორე სამშენებლო უბანზე. აქ განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ თედელეთის, ჩესელთის და კიროვის სოფლსაბჭოებიდან მოსული კოლმეურნეები. ისინი ყოველდღიურ გეგმებს 300-400 პროცენტით ასრულებენ.

გზატკეცილის მშენებლობაზე კარგად არის დაყენებული კულტმომსახურება. კოლმეურნეთა შორის სისტემატურად ტარდება საუბრები საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, რელიგიურ დღესასწაულებზე და სხვ. კოლმეურნეებს უჩვენებენ კინოსურათებს.

მეცხვარე კოლმეურნეები ახალ წარმატებებს აღწევენ

შავნაბადა, („კომუნისტის" სპეც. კორ.). ბაკურიანიდან (ბორჯომის რაიონი) დაახლოებით 30 კილომეტრზე, ლამაზად გაშლილ ქედებზე და ხეობებში, მორაკრაკე წყაროებთან, 2.000 ჰექტარ საუკეთესო საძოვრებზე წელს დაბინავებულია წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" 22.729 სული ცხვარი (ფერმის გამგე ა. ბაღაშვილი).

საკოლმეურნეო ფერმის გაცნობა ცხადჰყოფს, რომ აქ მეცხოველეობის განვითარებისა და მისი მაღალი პროდუქტიულობისათვის წარმატებით იბრძვიან. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ცხვარი საუკეთესოდ არის მოვლილი და ფერმამ, ნაცვლად მიმდინარე წლის დასასრულისათვის გათვალისწინებული 10 ტონისა, რაც ახალი კანონით მიწის ფართობის მიხედვით ევალება კოლმეურნეობას, სახელმწიფოს, თავისუფალი დამზადების ჩათვლით, უკვე ჩააბარა 16 ტონა მატყლი, ხოლო წლის ბოლომდე ჩააბარებს კიდევ 10 ტონაზე მეტს.

ფერმამ საგრძნობლად გაზარდა ცხვრის წველადობა. დღემდე დამზადებული აქვს 14 ტონა ყველი, სეზონის ბოლომდე კი სულ დაამზადებს დაახლოებით 24 ტონა ყველს, ნაცვლად გასულ წელს დამზადებული 16,5 ტონისა.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1941 წელს განგრძობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებასთან დაკავშირებით ამ დღეებში ფერმაში შესდგა კოლმეურნეთა საერთო კრება. კრებაზე აღინიშნა, რომ ფერმის მუშაკებიდან კერძოდ ცხვრის პარსვაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ს. ალადაშვილმა, გ. ბალიაშვილმა, ი. სეფიაშვილმა, გ. ალადაშვილმა, ი. კირკიტაშვილმა, ხოლო ცხვრის წველისა და ყველის გამოსავლიანობის მხრივ ი. ტეტელაშვილმა, ი. დათუკიშვილმა, ი. ბაქაცაშვილმა და სხვ. ამ მოწინავე კოლმეურნეებმა და სპეციალისტებმა—შ. ზუბადალაშვილმა, ნ. მეფურიშვილმა, ვ. კირკიტაშვილმა, მ. ალადაშვილმა და გ. პატატაშვილმა მომავალი წლის გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით აიღეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი ცხვრის ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მოსპობის, წველის წარმატებით ჩატარების, სიმსუქნის და მატყლის გამოსავლიანობის გადიდების, ხელოვნური განაყოფიერების და სხვ. შესახებ.

ამავე კრებაზე გადაწყდა ფერმაში უზრუნველყოფილ იქნას ყოველთვიურად კედლის გაზეთის 3 ნომრის გამოშვება.

ფერმამ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით, სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ზემო მაჩხაანის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა და არბიტრად დაასახელა გაზ. „კომუნისტისა" და წითელწყაროს რაიგაზეთის რედაქციები.

წმინდად დავიცვათ სტალინური ტრადიციები

ამხანაგ მ. ი. კალინინის სიტყვა

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მიტინგზე 1940 წ. 27 მაისს

ამხანაგებო, მე ფრიად მოხარული ვარ, რომ გხედავთ ყველას, და სულით და გულით გეუბნებით (ამბობს ქართულად): „გაუმარჯოს!“ **(მქუხარე ტაში, შეძახილები ადგილებიდან ქართულად: „გაუმარჯოს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს!“ მქუხარე ტაში).** შეიძლება მე მთლად სწორად ვერ ვთქვი ქართულად, მაგრამ იმედი მაქვს გაიგებთ, რომ მე წრფელი გულით გიხარით.

დაახლოებით 40 წლის წინათ მე თბილისში გადმომასახლეს. ეს ჩემი პირველი გადასახლება იყო. თბილისში ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ მე მომიხდა მოხსენების გაკეთება მუშათა მოძრაობის შესახებ პეტერბურგში. ამ მოხსენებაზე არალეგალურად შეიკრიბა 150-მდე კაცი, უმთავრესად რკინიგზელები, თუმცა, რასაკვირველია, იყვნენ არა რკინიგზელებიც, მაგრამ უმრავლესობა რკინიგზის სახელოსნოებიდან მოვიდა. იმ დროისათვის ეს მეტად ხალხმრავალი კრება იყო და იგი ნიშნავდა, რომ რკინიგზის სახელოსნოებში უკვე არსებობდა საკმაოდ მტკიცე რევოლუციური ბირთვი. და საერთოდ მაშინ მე მომეჩვენა, რომ თბილისში რევოლუციური მოძრაობა გაცილებით უფრო ფართო და ღრმა იყო, ვიდრე პეტერბურგში. იქ, პეტერბურგში, შეკრება შეეძლო 5-6, მაქსიმუმ 8-10 კაცს, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში და უდიდესი სიფრთხილის დაცვით.

იმ შავბნელ დროს არა ჩემი ნებასურვილით თბილისში აღმოვჩნდი, მაგრამ მე მაშინვე ვიგრძენი, რომ მშობლიურ წრეში მოვხვდი. სიახლოვის ეს შთაბეჭდილება, ეს გრძნობა მთელ სიცოცხლეში დამრჩა. და აი ახლა, როდესაც მე თქვენთან უკვე სხვა პირობებში მოვედი, ისევ მეჩვენება, რომ მოვხვდი მშობლიურ წრეში. ყველაფერი ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან მუშათა კლასის საუკეთესო თვისებაა მეგობრობა, სოლიდარობა, ურთიერთ სიმპატია.

ეს თვისება არ სუსტდება ახლაც, პირიქით, იგი კიდევ უფრო მეტად იზრდება და ვითარდება. შემდეგში ჩვენი ახალგაზრდობა ამ თვისებას გაცილებით უფრო სრულად განავითარებს, ვიდრე ეს ჩვენ, მოხუცებმა, შევძელით. ახალგაზრდობას ამ მხრივ უდიდესი უპირატესობა აქვს. იგი ჩვენზე, მოხუცებზე, უკეთესია თუნდაც თავისი ახალგაზრდობის გარეშე, ვინაიდან დაიბადა და ცხოვრობს სოციალისტურ საზოგადოებაში.

ისე რომ, განვლო უდიდესი და დაძაბული რევოლუციური ბრძოლის 40 წელმა. რკინიგზელთა რა უდიდესი რაოდენობა, მუშათა საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა რა უდიდესი რაოდენობა გაიზარდა ამ 40 წლის მანძილზე! მე ვფიქრობ, რომ მეფის რუსეთში არ ყოფილა ისეთი დიდი საპყრობილე, სადაც არ მსხდარიყვნენ თბილისის რკინიგზელთა საუკეთესო წარმომადგენლები. მერე რამდენი ადამიანი დაიღუპა მეფის თვითმპყრობელობასთან უშუალო შეტაკებაში, რამდენი გაიგზავნა კატორღასა და გადასახლებაში! ასე იქმნებოდა თბილისის რკინიგზელთა რევოლუციური ტრადიციები. მაღალი იდეალებისათვის, მუშათა კლასის უკეთესი მომავლისათვის გმირული ბრძოლის ამ ტრადიციებს, იმისთვის ბრძოლის ტრადიციებს, რომ მუშათა კლასს ჰქონდეს ძალაუფლება და ამ ძალაუფლების შემწეობით აშენებდეს ახალ სამყაროს,—ამ სახელოვან ტრადიციებს წმინდად უნდა იცავდეს და განაგრძობდეს მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა და, განსაკუთრებით, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობა. მათში, ამ ტრადიციებში, არის რაღაც განსაკუთრებული, რომელიც შეადგენს უდიდეს უპირატესობას ჩვენი ქვეყნის სხვა ფაბრიკებისა და ქარხნების რევოლუციური მუშების ტრადიციებთან შედარებით. ეს უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშებს ლენინურად, ბოლშევიკურად ზრდიდა, აწრთობდა და რაზმავდა ამხანაგი სტალინი. ეს, ამხანაგებო, პატარა საქმე როდია. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა გაიარეს რევოლუციური ბრძოლის კლასიკური სკოლა ჩვენი პარტიის ერთერთი ფუძემდებლის ხელმძღვანელობით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამხანაგ **სტალინს**, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ ეწოდება დიდი **სტალინი**, რომ მას ახასიათებს განსაკუთრებული თვისებები პოლიტიკური ბელადისა, რომელსაც შესწევს უნარი თვით უძნელეს პირობებში ფეხზე დააყენოს, აღზარდოს, გამოსჭედოს და დარაზმოს რევოლუციურ მებრძოლთა მრავალრიცხოვანი კადრები, აღაფრთოვანოს ისინი და გაუძღვეს მათ გარკვეული მიმართულებით. თავისი ეს შესანიშნავი ოსტატობა მან პირველად გამოიჩინა მაშინ, როდესაც მუშაობდა აქ, თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა შორის. აი რა ისტორიული უპირატესობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ—უდიდესი ისტორიული სიკეთე აქვთ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებს და აი რატომ ატარებს ეს ქარხანა დიდი **სტალინის** სახელს **(მქუხარე ტაში, შეძახილები ადგილებიდან ქართულად: „გაუმარჯოს ჩვენს ძველ მუშებს!“ „ვაშა“. ტაში).**

მაგრამ, ამხანაგებო, ყველაფერი ეს მოგონებათა სფეროს ეკუთვნის, და მე რომ მხოლოდ მოგონებებს დავჯერებოდი და გვერდი ამევლო დღევანდელი დღისათვის, თქვენ უფლება გექნებოდათ გეთქვათ: „ეჰ, ამხანაგო კალინინ, შენ უკვე მხოლოდ გუშინდელი დღით ცხოვრობ“. **(სიცილი).** ხოლო რა არის დღეს? აი სწორედ ეს არის ყველაზე მთავარი საკითხი.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ სტალინელები ხართ განწყობილებით, თქვენი შეგნებით და ღრმა რწმენით. მაგრამ, გარდა ამისა, თქვენ ხომ ფორმალურადაც სტალინელები გეწოდებათ. მაშასადამე, ყველა თქვენი მოქმედებაც, მთელი თქვენი მუშაობა აგრეთვე სტალინურად უნდა იყოს წარმართული. მუშაობის სტალინურად წარმართვა რაღას ნიშნავს? ეს ნიშნავს მაქსიმუმის გაკეთებას იმ ძალებითა და საშუალებებით, რაც თქვენ ხელთ გაქვთ.

ვთქვათ, თქვენს ქარხანაში ითვლება ოთხიათას ხუთასი კაცი და თქვენ მოცემული გაქვთ პროგრამა შეაკეთოთ თვეში 25 ან 30 ორთქლმავალი. და აი, თუ სტალინურად ვიმსჯელებთ, თქვენ ნამდვილად რაც შეიძლება მეტი რაოდენობით და ხარისხის მხრივ რაც შეიძლება უკეთესად უნდა შეაკეთოთ ორთქლმავლები, რომ ყოველთვის გადამეტებით შეასრულოთ საგეგმო დავალებანი, რომ ყოველთვის საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს სხვა ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნებზე წინ მიდიოდეთ. ასეთ შემთხვევაში თქვენი ქარხნის ინჟინრები მუდამ ჩამორჩებიან თავიანთი დაგეგმვით, თქვენ კი მათ ყოველთვის თან გაიყოლიებთ. მაგრამ ჩემი სიტყვები ისე არ გაიგოთ, რომ მათ, ინჟინრებმა, განზრახ ნაკლები უნდა დაგეგმონ. არა, მე სულ სხვა რამეს ვლაპარაკობ. მე აი რას ვამბობ: ვთქვათ, თქვენმა ინჟინრებმა თავიანთი მეცნიერული გამოანგარიშების საფუძველზე გააკეთეს დასკვნა, რომ თქვენ უკეთეს შემთხვევაში შეგიძლიათ შეაკეთოთ მხოლოდ 30 ორთქლმავალი თვეში, თქვენ კი რადაც არ უნდა დაგიჯდეთ უნდა გადააჭარბოთ მათს მეცნიერულ გამოანგარიშებას და ამით დაამტკიცოთ, რომ ნამდვილი სტალინელები ხართ. ინჟინრებს, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეთ, არ შეუძლიათ გაითვალისწინონ თქვენი ეს დაფარული ძალა, რომელიც სტალინური მოქმედებით „საიდუმლოებას“ წარმოადგენს, და ამიტომ ისინი მუდამ ჩამოგრჩებიან თავიანთი მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამებით.

მაგრამ, ამხანაგებო, სწორედ ასე რომ დააყენოთ საქმე, ნამდვილად რომ უჩვენოთ სტალინური მოქმედების ძალა, ამისათვის საჭიროა დაეუფლოთ თქვენი მუშაობის ტექნიკურ კულტურას. ცხადია, საჭიროა საერთო კულტურაც, რომ თვითეულ მუშას თავისუფლად შეეძლოს ლაპარაკი თქვენი უნივერსიტეტის ან ინსტიტუტის ყოველ პროფესორთან მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების და სხვ. საკითხებზე. ეს, მე ვფიქრობ, მალე იქნება, იმიტომ, რომ მთელს ახალგაზრდობას 2-4 წლის შემდეგ ექნება განათლება, ყოველ შემთხვევაში, ათწლედის ფარგლებში. მაგრამ მე ვლაპარაკობ არა იმდენად აქ კულტურაზე, რამდენადაც ტექნიკურ კულტურაზე.

აი აქ, სწორედ ამ ტრიბუნიდან, გამოვიდა ქალი, ახალგაზრდა ინჟინერი. ამ ახალგაზრდა ინჟინრის და საერთოდ ყველა ინჟინრის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა წრეში დანერგონ ტექნიკური კულტურა, რათა ყველა ჩვენი მუშა ტექნიკურად მცოდნე იყოს, ყოველ შემთხვევაში, თავის საქმეში. უნდა მივხვდეთ, ამხანაგებო, რომ უამისოდ შეუძლებელია ეკონომიური განვითარების დონის მხრივ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს და ავაშენოთ კომუნიზმი. უამისოდ შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის აყვანა ისეთ სიმაღლეზე, რომელიც საჭიროა ჩვენთვის იმ ეპოქაში, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ.

თქვენ ხედავთ თანამედროვე ომის მასშტაბებს, ფორმებსა და ხერხებს. თქვენ თვითონ განსაჯეთ—შეიძლება თუ არა გამარჯვება ასეთ ომში, ისეთი რიგითი მებრძოლებითა და მეთაურებით, რომლებიც ტექნიკურად უცოდინარნი არიან? არა, ტექნიკურად უცოდინარი არმია ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიმარჯვებს.

მაშასადამე, თუ საკითხს მივუდგებით რევოლუციური მარქსიზმის თვალსაზრისით, ლენინიზმის თვალსაზრისით, ამხანაგ სტალინის მოძღვრების თვალსაზრისით, — ჩვენი მთავარი, ძირითადი ამოცანაა უკლებლივ ყველანი მცოდნე გავხდეთ ტექნიკის დარგში. კერძოდ ჩვენი თავდაცვისათვის ეს ისევე აუცილებელია, როგორც, ვთქვათ, აუცილებელია შაშხანა — და არა უბრალო შაშხანა, არამედ ავტომატური. და აი, თუ თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებმა, იმ ქარხნის მუშებმა, რომელშიც ოდესღაც მეც ვმუშაობდი, შეინარჩუნეს უფროს თაობათა ყველა რევოლუციური ტრადიციები, თუ ისინი მართლა სტალინელები არიან, ისინი მიხვდებიან ამ ამოცანას, და უკლებლივ ყველანი უახლოეს დროში გახდებიან ყველაზე მცოდნე ადამიანებად ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქმის ტექნიკაში.

შორეულ წარსულში, ცარიზმის დროს, თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, ვგონებ, არცერთი ქართველი ინჟინერი არ იყო. ახლა კი აქ ვხედავთ ინჟინრებს არა მარტო ქართველებიდან, არამედ ქართველი ქალებიდანაც. ეს თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც არა მარტო იხსნა ყველა მშრომელი სილატაკისა და ყოველგვარი ჩაგვრისაგან, არამედ თვითეულს შესაძლებლობა მისცა თავისი ბედი საკუთარი ხელით გამოსჭედოს. ახლა ჩვენ ეს ბედი კიდეც უნდა გამოვჭედოთ საკუთარი ხელით, ვინაიდან ამ საქმეში ხელს ვერავინ ვერ შეგვიშლის. მართალია, ერთგვარ მუხრუჭს აქ ჯერჯერობით ჩვენი ბიუროკრატიზმი წარმოადგენს. ჯერჯერობით ჩვენ კიდევ გვიშლიან ხელს საქმის სხვადასხვა გამჭიანურებლები და პირდაპირ უჭკუო ადამიანები, რომლებიც შემთხვევით მოხვედრილან არა თავიანთ ადგილებზე. მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენს ხელთაა, ჩვენს განკარგულებაშია და ჩვენ შეგვიძლია გამოვასწოროთ ეს, დავძლიოთ. ახლა ჩვენ გაბედულად და მტკიცედ უნდა ვიაროთ წინ.

ჩვენ თქვენთან ერთად კაცობრიობის ნაწილაკი ვართ, და არც თუ პატარა ნაწილაკი. ჩვენ ხომ ას ოთხმოცი მილიონზე მეტი კაცი ვართ! ჩვენ თქვენთან ერთად მოვიპოვეთ საბჭოთა ხელისუფლება და თანდათანობით ვანმტკიცებთ მას უკვე ოცზე მეტი წლის განმავლობაში. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ეს არის მხოლოდ ერთერთი ეტაპი კომუნიზმისათვის დიადი ბრძოლისა, რომელიც გამოაცხადეს მარქსმა და ენგელსმა, რომელიც პრაქტიკულად გაახალეს ლენინმა და სტალინმა. კომუნიზმის იდეა ჩვენ ყოველთვის აღგვაფრთოვანებდა და მით გვიმსუბუქებდა გზას. ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს კომუნიზმი. და ახლა ჩვენ უფრო ახლოს ვართ, ვიდრე ოდესმე, კომუნიზმის სრულ გამარჯვებასთან. ეს მიზანი ახლა ჩვენს წინაშე დგას მთელი თავისი ბუმბერაზული სიგრძე-სიგანით.

თუ თქვენ გინდათ, რომ თქვენი ცხოვრება საინტერესო და ნათელი იყოს, რომ იგი ალსავსე იყოს აზრითა და შინაარსით, იბრძოლეთ კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლაში თქვენ უდიდესი უპირატესობანი გაქვთ რევოლუციონერთა ძველ თაობებთან შედარებით. თქვენ გაქვთ ფაბრიკები, ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ტანკები, ტყვიამფრქვევები, ზარბაზნები, თვითმფრინავები, გყავთ საუცხოო წითელი არმია და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ჩვენ კი არაფერი ეს არ გვქონია. თქვენ გაქვთ უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, აკადემიები, ტექნიკუმები, სკოლები, ბიბლიოთეკები — კულტურის მთელი არსენალი. ჩვენ კი უამისოდ ვიწყებდით. ჩემთვის, მაგალითად, საკმარისი იყო ცოტაოდენი წიგნიერობა და ოდნავი პოლიტიკური გაგება, რომ ავმხედრებულიყავი ძველი სამყაროს წინააღმდეგ. ახლა კი, ნურას უკაცრავად, ასეთი ბარგით გამოსვლა არ შეიძლება. ახლა თქვენ უნდა გამოხვიდეთ ყოვლმხრივი ცოდნით, საერთო და, განსაკუთრებით, ტექნიკური კულტურით აღჭურვილნი. ახლა კომუნიზმისათვის ბრძოლამ სხვა ფორმები და მასშტაბები მიიღო,—მასში მილიონები მონაწილეობენ. და, ცხადია, ამ ბრძოლაში,—ჩვენი როლი, ჩვენი მონაწილეობა უფრო შესამჩნევი რომ გავხადოთ,—საჭიროა ძალების გაცილებით უფრო მეტად დაჭიმვა, ვიდრე ეს იყო წინათ, როდესაც ჩვენ მხოლოდ ვიწყებდით.

ამხანაგებო, მე უკვე გითხარით, რომ ძლიერ მოხარული ვარ შემთხვევისა, რომელმაც შესაძლებლობა მომცა შეგხვედროდით და გულახდილად მელაპარაკნა თქვენთან. თქვენ ჩემთვის მახლობლები ხართ, ვინაიდან მე თქვენთან ვმუშაობდი. შესაძლოა, რომ თქვენს შორის ახლა უკვე აღარავინ დარჩენილა მათგან, რომლებსაც ახსოვთ ეს დრო, იმიტომ რომ ეს 40 წლის წინათ იყო. მაშინ მე ცოტა უფრო ახალგაზრდა ვიყავი. **(სიცილი).** ახლა ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და უნდა ვთქვა, რომ თუმცა მე მოხუცი ადამიანი ვარ, — მართალია, მე არ მიყვარს ეს სიტყვა, უფრო ხშირად ვამბობ „ხნიერი“ **(სიცილი)**, რომ მოხუცი არ ვიყო, — მაგრამ დიდი სურვილი მაქვს 40 წლის შემდეგაც ვიყო ახალგაზრდობასთან ერთად კომუნიზმისათვის დიადი ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე. ამასთან ერთად მე მინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა კულტურული გახდეს შრომის იმ დარგში, სადაც იგი მუშაობს. ჩემი აზრით, ეს მხოლოდ წმინდა საწარმოო საქმე როდია. არა, ეს არის როგორც ღრმა იდეური, ისე საბრძოლო საქმე. რაც უფრო მაღალი იქნება ჩვენი კულტურა, მით უფრო კარგად იცხოვრებს ხალხი ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო ძლიერი იქნება აგიტაცია კომუნიზმის სასარგებლოდ მთელს მსოფლიოში. და ეს იქნება ისეთი აგიტაცია, რომელსაც ვერ დასძლევენ რეაქციის ვერავითარი ძალები, რომლის წინააღმდეგაც უძლური აღმოჩნდება წამების, სიკვდილით დასჯისა და ადამიანთა მოსპობის ყველა იარაღი.

ამხანაგებო, თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშები ყოველთვის იყვნენ რევოლუციურ მებრძოლთა მოწინავე რიგებში, ისინი მუდამ თამაშობდნენ საპატიო როლს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. და მე გულწრფელად მინდა, რომ თქვენ, თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებმა, არავითარ შემთხვევაში არ დასთმოთ ეს სახელოვანი პოზიციები, თორემ ეს ჩვენთვის, იმ მოხუცებისათვის, რომლებიც აქ ოდესღაც ვმუშაობდით, ხომ ცოტა უხერხული იქნება. მე მტკიცედ მწამს, რომ თქვენ არა მარტო წმინდად დაიცავთ თბილისის რკინიგზის სახელოსნოების ძველი ბოლშევიკური გვარდიის სტალინურ ტრადიციებს, არამედ შემდგომ განავითარებთ ამ ტრადიციებს კომუნიზმის საბოლოო დამყარებისათვის წარმოებულ ძლევამოსილ ბრძოლაში. გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს**, რომელშიც განხორციელებულია მუშათა კლასის საუკეთესო იდეალები, მთელი სიბრძნე და გენია! **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები ადგილებიდან ქართულ და რუსულ ენებზე: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს მიხეილ ივანეს-ძე კალინინს!“, „გაუმარჯოს ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩს!“ „ვაშა“. ინტერნაციონალი. ტაში).**

საბჭოთა ინტელიგენციის ამოცანების შესახებ

ამხანაგ მ. ი. კალინინის სიტყვა

ინტელიგენციის—აკადემიკოსების, ინჟინრების, ექიმების, არტისტების, მხატვრების—წარმომადგენელთა თბილისის საერთო-საქალაქო კრებაზე 1940 წლის 27 მაისს



ამხანაგებო, მოგესალმებით თქვენ, როგორც დიადი საბჭოთა კავშირის ინტელიგენციის ერთერთ მოწინავე რაზმს **(მქუხარე ტაში).**

შორეულ წარსულში ჩვენ, ბოლშევიკები, საკმაოდ ვებრძოდით ინტელიგენციას, რამდენადაც მას მუშათა კლასის მასებში, ხალხის ფართო მასებში მიჰქონდა ბურჟუაზიული გავლენა, სწორი რევოლუციური გზიდან აცდენდა მუშათა კლასს.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა ვთქვა, რომ ხალხი, განსაკუთრებით მუშათა კლასი ყოველთვის დიდად აფასებდა ინტელიგენციის ცოდნას, ყოველთვის უღრმესი პატივისცემით იყო გამსჭვალული ინტელექტუალური, გონებრივი შრომისადმი, ყოველთვის სიმპატიისა და სიყვარულის გრძნობით ეკიდებოდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებსაც მასებში შეჰქონდათ განათლება, რომლებიც აფართოებდნენ მასების პოლიტიკურ ჰორიზონტს, რომლებიც ხელს უწყობდნენ სოციალისტური შეგნების განვითარებას.

სოციალისტური ინტელიგენცია საერთო ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა. იგი შესდგებოდა კეთილშობილი ადამიანებისაგან, რომლებსაც თავისი სიცოცხლის მიზნად დასახული ჰქონდათ მუშათა კლასისათვის სამსახური, რომლებიც მთელ თავის ძალებს ანდომებდნენ პროგრესიული კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას, — იგი იყო რუსეთის პროლეტარულ მასებში მეცნიერული სოციალიზმის იდეათა გამტარებელი.

უწინდელ დროში, ძველ, მეფის რუსეთში ჩაგრული ხალხებიდან მხოლოდ ცოტას ჰყავდა თავისი ინტელიგენცია. მპყრობელი რუსი ერის გაბატონებული კლასები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გაეძნელებინათ და შეეფერხებინათ ნაციონალური თვითშეგნების გაღვიძება დამორჩილებულ, ჩაგრულ ხალხებში, ცდილობდნენ არ დაეშვათ მათი საკუთარი ინტელიგენციის შექმნა. მაგრამ თუ ზოგიერთი ხალხი, მიუხედავად ყოველგვარი ხელშეშლისა და ცარიზმის მიერ შევიწროვებისა, მაინც ახერხებდა თავისი ინტელიგენციის შექმნას, ეს უკანასკნელი, როგორც წესი, საკუთარ ნაციონალურ წვენში იხარშებოდა. არსებითად ჩაგრულ ერთა ინტელიგენცია თავისი შეზღუდული საშუალებებით საერთოდ ასრულებდა იმავე სოციალურ როლს, რასაც მპყრობელი ერის ინტელიგენცია. და რამდენადაც უწინდელი, ძველი ინტელიგენციის თვითეული ნაციონალური რაზმი ემსახურებოდა თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას, სრულიად-რუსეთის ინტელიგენციის სხვადასხვა ნაციონალურ რაზმებს შორის მუდამ სწარმოებდა სასტიკი ნაციონალური ბრძოლა. მაშასადამე, უწინდელ დროში ინტელიგენცია ჩვენს ქვეყანაში დაყოფილი და დაქსაქსული იყო. მის ცალკეულ, ნაციონალურ რაზმებს შორის გაბატონებული იყო მტრობისა და ურთიერთ უნდობლობის სული, რომელიც მას გადაჰქონდა თავისი ხალხის მასებში, როგორც ამას მოითხოვდა ნაციონალური ბურჟუაზიის, განსაკუთრებით რუსული ბურჟუაზიის ანგარებითი ინტერესები.

სხვა საქმეა ახლა, პროლეტარული დიქტატურისა და სოციალიზმის ეპოქაში, როდესაც ჩვენში სამუდამოდ მოეღო ბოლო ყოველგვარ მონობასა და ჩაგვრას, როდესაც ჩვენში დამყარდა ხალხთა გულწრფელი, უანგარო და ურღვევი მეგობრობა, როდესაც ჩვენ ყველა ეროვნების მუშებისა და გლეხებისაგან შევქმენით ჩვენი საკუთარი ინტელიგენცია, ე. ი. სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც ერთგულია თავისი დიადი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა. და აი ახლა, როგორც სწორად აღნიშნა ამხ. ჟღენტმა, ჩვენი ინტელიგენციის წინაშე, ინტელექტუალური შრომის წინაშე ჩვენს ქვეყანაში გადაიშალა ისეთი ფართო ასპარეზი შემოქმედებისათვის, რომელზედაც წინათ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

უწინ, მაგალითად, ქართველი მწერალი სწერდა ქართულად მხოლოდ ქართველი ხალხისათვის. თვით უაღრესად ნიჭიერი მწერლისთვისაც კი ფართო სარბიელზე გამოსვლა, არა მარტო ევროპულ, არამედ თუნდაც რუსულ ლიტერატურაში გამოსვლა, წარმოადგენდა უდიდეს სიძნელეს თვით პოლიციის მიერ აკრძალვამდე. მაგრამ ფაქტიურად იგი მაშინ არც თავისი ხალხისთვის ჰქმნიდა. ახლა კი იგი ნამდვილად ჰქმნის ქართველი ხალხისათვის, და მასთან ერთად მთელი ასოთხმოცდასამმილიონიანი საბჭოთა ხალხისათვის. სწორედ ამაში გამოიხატება ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც თვით თავისი ბუნებით ღრმად ინტერნაციონალურია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს დროში ქართველი, სომეხი, ბელორუსი, უკრაინელი და ყოველი სხვა ნაციონალური მწერლის არცერთი ძვირფასი მხატვრული ნაწარმოები არ დარჩება უქმად, იგი მაშინვე გამოჩნდება სრულიად-საკავშირო ასპარეზზე, მას გამოეხმაურება არა მარტო რუსი ხალხი, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებიც. აი რაშია ახალი მდგომარეობა.

ეს ახალი მდგომარეობა, უეჭველია, აფართოვებს ინტელექტუალური შრომის ყველა მუშაკის ჰორიზონტს და ამცირებს ნაციონალურ შეზღუდულობას. ამჟამად ხომ ყველა მიილტვის სრულიად-საკავშირო ასპარეზისაკენ. თქვენ შეგიძლიათ შემოიაროთ მთელი საბჭოთა კავშირი, გამოჰკითხოთ ყველა ადამიანს —და ვერ იპოვნით ვერცერთს, რომელსაც არ უნდოდეს მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლა. თუ მეცნიერების ან ხელოვნების ესა თუ ის მუშაკი ძლიერ გამოერჩევა სხვებში, მას ჩვეულებრივ იტაცებს მოსკოვი, როგორც ეს წესად არის შემოღებული. და თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვითეული ასეთი მუშაკისათვის მოსკოვში გადასვლა ჩვეულებრივ სასიხარულო მოვლენაა, ვინაიდან თვითეულს ესმის, რომ მოსკოვი—ეს არის მისი დიადი სამშობლოს ტვინი და გული, ეს არის უკვდავების ქალაქი, ეს არის უზარმაზარი სარბიელი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. მაგრამ მოსკოვში გადასვლის შემდეგ მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწე არ ჰკარგავს კავშირს თავის ხალხთან და ამიტომ არის, რომ იგი ასე ადვილად ანებებს თავს სამშობლო მხარეს. თუ ცარიზმის დროს პეტერბურგში ცარიზმის სამსახურში გადასვლა ნიშნავდა თავის ხალხთან კავშირის დაკარგვას და ნაციონალურ მჩაგვრელებთან—რუსეთის თვითმპყრობელობასთან კავშირის დაჭერას, ჩვენს დროში, პირიქით, მეცნიერებისა და ხელოვნების ამა თუ იმ მოღვაწის გადასვლა მოსკოვში არა თუ არ ასუსტებს, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს მის კავშირს თავის ხალხთან. მაღალი სტილით თუ ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ხალხი თავის საუკეთესო შვილებს თითქოს ჰგზავნის ინტელექტუალური შემოქმედების სრულიად-საკავშირო არეოპაგში, რომ იქ საქართველოს სახელი ბრწყინავდეს სსრ კავშირის ყველა ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლების მეგობრულ ანსამბლში. ეს მდგომარეობა აფართოებს ჩვენი ინტელიგენციის ჰორიზონტს, აფართოებს ყველა მისი გრძნობებისა და შეხედულებების ნაციონალურ ჩარჩოებს. ამჟამად ყველა ჩვენი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები ეწევიან შემოქმედებას არა მარტო თავისათვის, არა მარტო თავისი ხალხისათვის, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისთვისაც. ამას მე ვთვლი სოციალისტური რევოლუციის ერთერთ ყველაზე სერიოზულ მიღწევად ინტელექტუალური შრომის დარგში.

ქართველი ინტელიგენცია ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის შემადგენელი ნაწილია. ჩვენ ვაშენებთ საბჭოთა სახელმწიფოს, ვაშენებთ კომუნიზმს ინტელიგენციასთან ერთად, მისი აქტიური მონაწილეობით. რა თქმა უნდა, ჩვენ მნიშვნელოვნად წავედით წინ იმასთან შედარებით, რაც გუშინ ან გუშინწინ იყო. მაგრამ ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ ბევრი ამოცანა დგას — და მერე როგორი ამოცანები!

აი, მაგალითად, რუსთაველის პროსპექტზე აგებულია საუცხოო, მაღალ არქიტექტურულ თვისებათა მქონე შენობები უმთავრესად საზოგადოებრივი სარგებლობისათვის. საჭიროა ეს გამოცდილება და შემოქმედებითი ენერგია გამოყენებულ იქნას საბინაო მშენებლობაშიც.

თქვენ გესმით, რომ მე მხედველობაში მაქვს არა ის, რომ გადავიღოთ ასლი მონუმენტალობისა, რომელიც საერთოდ საზოგადოებრივ შენობებს ახასიათებს, არამედ ის, რომ საცხოვრებელი სახლები თავის მხრივ წარმოადგენდნენ არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვის მხატვრულ განხორციელებას, რომ ისინი მობინადრეებს განწყობილებას არ უფუჭებდნენ სამუშაოდან დაბრუნების დროს, რომ ისინი არ ამახინჯებდნენ, არ აჩლუნგებდნენ მათს მხატვრულ გემოვნებას, არამედ, პირიქით, რომ ისინი უქმნიდნენ მას უფრო უკეთეს განწყობილებას, რომ ისინი ანვითარებდნენ და სრულჰყოფდნენ მათს მხატვრულ გემოვნებას, რომ ამასთან ერთად ისინი შეეფერებოდნენ მობინადრეთა ყველა პრაქტიკულ მოთხოვნილებას.

ჩვენ ვამბობთ, რომ ვიბრძვით კომუნიზმისათვის, ვაშენებთ კომუნიზმს.

ისე რომ, ამხანაგებო, კომუნიზმის შენება ახლა—ნიშნავს საუკეთესო პირობების შექმნას, კულტურის დანერგვას, სილამაზის შეტანას თვითეული საბჭოთა მოქალაქის მთელ ყოფა-ცხოვრებაში. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ? შეიძლება ითქვას, რომ ამ აზრით მუშაობის მხოლოდ შავად მოხაზვას ვეწევით. და აი, ქართველმა ინტელიგენციამ, ჩემი აზრით, აგრეთვე უნდა მოჰკიდოს ხელი ამ მუშაობას. გარეგნულად ეს მუშაობა ისეთი მკაფიო და ისეთი ეფექტური არ არის, როგორც, ვთქვათ, მსახიობთა გამოსვლა სცენაზე, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის საერთო კულტურულობის ამაღლებისათვის.

ინტელიგენციის მეორე ამოცანაა წიგნიერობის ამაღლება.

მე მხედველობაში მაქვს არა წერა-კითხვის ელემენტარული ცოდნა, არამედ ის, რომ ადამიანს შეეძლოს თავისი აზრების გრამატიკულად სწორად გადმოცემა. ფაქტია, რომ საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წიგნიერობის ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან წიგნიერობა ადამიანთა კულტურის ელემენტარული საფუძველია. ინტელიგენცია თუ სადმე უნდა იყოს მოთავე, მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ დარგში. ადამიანებმა, რომლებსაც თვითონ მდიდარი ცოდნა გააჩნიათ და რომლებიც ხედავენ, რომ მათი თანამოქალაქეები საკმაოდ წიგნიერნი ჯერ არიან, ამ ადამიანებმა უნდა ასტეხონ განგაში, პირდაპირ განგაში, ისინი მთელი ენერგიით უნდა ნერგავდნენ საყოველთაო წიგნიერობას, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე კულტურულ ქვეყნად გადააქციონ. ეს მთელი ჩვენი ინტელიგენციის უაღრესად პატრიოტული მოვალეობაა.

ინტელიგენციის მესამე ამოცანაა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ყოვლმხრივ განმტკიცება. თითქოს ეს საქმე ყველაზე ნაკლებად ეხება ინტელიგენციას, ვინაიდან ჩვენ გვყავს სამხედრო პირები, რომლებიც ამ საქმეზე მუშაობენ „თანამდებობის“ მიხედვით. მაგრამ თქვენ თვითონ ხედავთ, თუ რა ფორმები და მასშტაბები მიიღო თანამედროვე ომმა. ეს ფორმები და მასშტაბები ყველა მოქალაქისაგან მოითხოვენ ფრიად სერიოზულ წინასწარ მომზადებას, უდიდეს კვალიფიკაციას და დიდ დახელოვნებას ომის წარმოებაში. ამიტომ ინტელიგენცია, როგორც მოსახლეობის ყველაზე შეგნებული ნაწილი, უწინარეს ყოვლისა თვითონ ყოველდღიურად უნდა ემზადებოდეს და სწავლობდეს სამხედრო საქმეს. გარდა ამისა, მან უნდა გააჩაღოს სათანადო მუშაობა მასებში, ფართოდ უნდა ავრცელებდეს ომის უახლეს გამოცდილებას. და, ბოლოს, ჩვენმა ინტელიგენციამ თავისი გარკვეული რაზმების სახით მაქსიმალურად უნდა გააძლიეროს მუშაობა თავდაცვისა და შეტევის ყოველგვარი საშუალების გამოგონებლობის, გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის დარგში.

ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცება მთელი ხალხის, მთელი საბჭოთა ინტელიგენციის საქმეა. მთავარია ის, რომ ხალხს ჩავუნერგოთ, ღრმად ჩავუნერგოთ შეგნებაში, რომ ქვეყნის თავდაცვა, მისი სამხედრო მომზადება ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს სსრ კავშირის მოქალაქის ერთერთი უაღრესად სერიოზული მოვალეობაა. საბჭოთა ინტელიგენცია ამ საკითხში მოთავე, ინიციატორი და შთამგონებელი უნდა იყოს.

ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია საკავშირო ინტელიგენციის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ოქტომბრის გამარჯვების პირველ დღეებიდანვე ქართველ ინტელიგენციას დაეკისრა საერთო-საკავშირო მოვალეობებიც. ვიდრე ცარიზმი იყო, ქართველ ინტელიგენციას შეეძლო პასუხი არ ეგო რუსული ინტელიგენციისათვის. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. ამჟამად თქვენ გეკისრებათ უაღრესად პასუხსაგები და საერთო-საკავშირო ამოცანები.

ამხანაგებო, როდესაც მე აღვნიშნავ იმ ამოცანებს, რომლებიც თქვენს წინაშე დგას, ამით მე სხვა არა მინდა რა ეთქვა, გარდა იმისა, რომ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში უფრო ხშირად ვხვდებოდეთ საქართველოს დიდებულ სახელს. ამით მე არ მინდა აგრეთვე დავამცირო ის უდიდესი მუშაობა, რომელიც ქართველმა ინტელიგენციამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გასწია. ამ მუშაობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც იმ შენობების მხრივ, რომლებიც არის აქ, თბილისში, აგრეთვე მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში. მე მინდა ვთქვა მხოლოდ ის, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტი გვესაჭიროება. ჩვენ, ბოლშევიკები, ხარბი და დაუღალავი ხალხი ვართ: რაც უფრო მეტი წარმატებები გვაქვს, მით უფრო მეტის გაკეთებისაკენ ვისწრაფვით. ჩვენ მართლაც მადა ჭამაში მოგვდის. და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი თავისებურება კი არ ასუსტებს, არამედ აფხიზლებს, აფართოებს ყველა საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითს მოღვაწეობას.

ახლა, ამხანაგებო, ნება მომეცით სულითა და გულით გადაგიხადოთ მადლობა იმ გულთბილი გრძნობებისათვის, რომლებიც თქვენ ესოდენ უხვად ცხადჰყავით ჩემთან, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთან და როგორც ადამიანთან, შეხვედრის დროს. მე მიყვარს საქართველო. მე შემიყვარდა იგი მას შემდეგ, რაც პირველად ჩამოვედი საქართველოში, ე. ი. როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი.

მართალია, ახალგაზრდებს, როგორც იცით, აღტაცებული განწყობილება აქვთ. მაგრამ განვლო ათეულმა წლებმა, მე კი დამრჩა ეს აღტაცებული განწყობილება. მასთან ერთად დამრჩა საუკეთესო მოგონებანი საქართველოზე. და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემი მუდმივი ოცნება იყო: როგორც კი მომეცემოდა შესაძლებლობა — დავბრუნებულიყავი საქართველოში და აქ შემემუშავნა. როგორც ხედავთ, ეს ვერ მომიხდა **(ტაში).**

მე არაერთხელ დავფიქრებულვარ იმაზე, თუ ასე რათ მიყვარს საქართველო. და პასუხი მუდამ ერთი და იგივე გამომდიოდა: აქ საქმე, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობის აღტაცებულ განწყობილებაში როდია, არამედ იმაში, რომ მე ძალიან მომეწონა ქართველი ხალხი. მას შემდეგ მე სხვა ადგილებშიც ვყოფილვარ, მაგრამ არ დამრჩენია ასეთი გრძნობები და მოგონებანი. მაშინაც ხომ ახალგაზრდა ვიყავი. ქართველმა ხალხმა, საქართველოს მუშებმა ჩემში სიმპატიის ისეთი ანაბეჭდი დასტოვეს, რომ აი ახლა, როდესაც უკვე 40 წელი გავიდა, ეს ანაბეჭდი ჩემს გულში მტკიცედ ცოცხლობს **(მქუხარე ტაში).**

გიამბობთ რა ამ ჩემს ემოციებზე, რომლებიც ქართველ ხალხთან და საქართველოს მუშებთან ურთიერთობამ გამოიწვია, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სიმპატიაც, რომელსაც დიდი ხანია ქართველი ინტელიგენციისადმი ვგრძნობ. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის საქმისათვის ბრძოლაში. ათეულობით და ასეულობით შეიძლება ჩამოვთვალოთ ადამიანები, რომლებმაც ამ ბრძოლას თავისი სიცოცხლე შესწირეს. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა მოგვცა უდიდესი, მსოფლიო ბელადი ამხანაგი **სტალინი (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ყველაფერი ეს, ამხანაგებო, შემთხვევითი როდია. ქართველი ხალხი კულტურის მხრივ ერთერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა ხანაში. იგი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უახლეს კულტურებთან ურთიერთმოქმედებაში. ვგონებ, ჩვენს ქვეყანაში არცერთ კულტურას არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას. ჩემში პირადად ყოველთვის აღტაცებას იწვევდნენ ქართული სიძველის ძეგლები, ქართული ხელოვნება, ქართული ლიტერატურა. რუსთაველს რომ კითხულობ, ფიქრობ: ბევრი არ მოიძებნება ისეთი მწერალი, რომელიც 700 წლის წინათ ცხოვრობდა, როგორიცაა ქართველი ხალხის ეს კეთილშობილი გენია! ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ქართველ ხალხს ძველთაგანვე ახასიათებს უდიდესი ინტელექტუალური ნიჭი. და ამიტომ შესძლო მან შექმნა ასეთი ინტელიგენცია. და ამიტომ შესძლო მან მიეცა კაცობრიობისათვის დიდი **სტალინი (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

და აი, ამხანაგებო, ნება მომეცით გამოვთქვა სურვილი, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ძალების სრული დაჭიმვით მისცეს ყველაფერი, რაც კი მას აქვს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო, ჩემი სურვილია ერთხელ კიდევ შეგხვდეთ, და იმედი მაქვს ასეთი ბედნიერი შესაძლებლობა კიდევ მომეცემა. იმ დროისათვის, მე დარწმუნებული ვარ, თქვენ მიაღწევთ ახალ წარმატებებს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გერმანული პრესა ინგლისის სამხედრო მდგომარეობის შესახებ

ბერლინი, 27 ივნისი (საქდესი). გერმანული პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ახლანდელ სამხედრო მდგომარეობას იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთში შესწყდა საომარი მოქმედება. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს, რომ იტალიისათვის ამჟამად ხმელთაშუა ზღვაზე მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა იქმნება. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალია და გერმანია შესძლებენ კონცენტრირებულად გამოიყენონ თავიანთი შეიარაღებული ძალები. გერმანული პრესა დაწვრილებით არჩევს აგრეთვე ინგლისის თავდაცვის შესაძლებლობას. ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ინგლისს საომარი საჭურველი არა აქვს საკმაო ოდენობით და რომ ადვილია ინგლისის სამხედრო მრეწველობისათვის ზიანის მიყენება. „ფელკიშერ ბეობახტერი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ინგლისი ამჟამად საბოლოოდ მოწყვეტილია ევროპის კონტინენტს".

ნახევრად ოფიციალური ბიულეტენი „დინსტაუს დოიჩლანდი", ახასიათებს რა საფრანგეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის გამო შექმნილ მდგომარეობას, სწერს: „იტალიისა და გერმანიის მთელი არმიები უშუალოდ თვით ინგლისისა და ხმელთაშუა ზღვაში არსებული მისი დასაყრდენი პუნქტების წინააღმდეგ გაიგზავნება". ბიულეტენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანია ახლა უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია, ვიდრე ინგლისი. „გერმანია,—სწერს ბიულეტენი,—შესძლებს გამოიყენოს თავისი საომარი საშუალებანი ინგლისის წინააღმდეგ კონცენტრულად, ე. ი. ინგლისის გარემოცვის საშუალებით. ამრიგად აღარ დაიქსაქსება გერმანელების ძალები. ამასთანავე გერმანია შესძლებს თავს დაესხას ინგლისს ყოველი პუნქტიდან". შემდეგ ბიულეტენი აღნიშნავს, რომ ინგლისმა თავისი ძალები, მათ შორის სამხედრო-საზღვაო ფლოტიც, თავისი იმპერიის უზარმაზარ სივრცეზე უნდა გაჰფანტოს, მაშინ როდესაც გერმანია თავის ძალებს შედარებით მცირე სივრცეზე უყრის თავს. ინგლისისათვის ზღვას იქით მდებარე ქვეყნებიდან მომარაგება მეტად უიმედო ხდება, — სწერს ბიულეტენი, — ვინაიდან ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში გერმანიის წყალქვეშა ფლოტს სისტემატურად გამოჰყავს მწყობრიდან სავაჭრო გემები, ის გემებიც კი, რომლებსაც ბადრაგი ახლავს. სავაჭრო გემების ბადრაგობა აგრეთვე ჰქსაქსავს ინგლისის სამხედრო საზღვაო ფლოტის ძალებს. დასასრულ, ბიულეტენი აღნიშნავს, რომ შეუძლებლად არ უნდა ჩაითვალოს საჰაერო დესანტის გადასხმა თვით ინგლისში, ვინაიდან ჰოლანდიისა და ნორვეგიის მაგალითმა დაგვანახვა, რომ ასეთი ოპერაციები შესაძლებელია".

საფრანგეთის ეკონომიური სიძნელეები დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ

ლონდონი, 27 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლონდონში აცხადებენ, რომ საფრანგეთსა, გერმანიასა და იტალიას შორის დროებითი ზავის ჩამოგდება დიდ გავლენას მოახდენს საფრანგეთის ეკონომიკაზე. ინგლისელი ეკონომიური ექსპერტების სიტყვით, ომის წინ საფრანგეთმა ყველაფერი მოიმოქმედა, რაც კი შეეძლო, რათა შეექმნა დეფიციტური ნედლეულისა და პროდუქტების მარაგი თავისი კოლონიებიდან მათი შემოზიდვის გზით. მაგალითად, კერძოდ, საფრანგეთში საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკიდან შეზიდულ იქნა 4 მილიონი ტონა ფოსფატის სასუქი. კოლონიების დაკარგვა საშინელ გავლენას მოახდენს საფრანგეთის ეკონომიკაზე. როგორც იუწყებიან, სანამ გერმანიის ჯარი ქვანახშირის რაიონებს დაიკავებდა, ფრანგებმა წყალი მიუშვეს მეტ წილ შახტებში. მშვიდობიან დროს საფრანგეთს წლიურად 7,5 მილიონი ტონა ქვანახშირი შეჰქონდა. ნავთის ძირითადი მარაგი ჩრდილოეთ საფრანგეთში მოსპობილ იქნა, თუმცა მისი ნაწილი მაინც ჩაუვარდათ ხელში გერმანელებს. საფრანგეთის საფეიქრო მრეწველობას ნედლეული ინგლისიდან და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან მოსდიოდა. საფრანგეთს ყოველწლიურად შეჰქონდა 300 ათასი ტონა ბამბა და 200 ათასი ტონა მატყლი. ინგლისის კონტროლის გავრცელება საფრანგეთში საქონლის ექსპორტზე დიდ ზიანს მიაყენებს მის მრეწველობას.

ესპანეთის პრეტენზიები ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოებზე

რომი, 27 ივნისი (საქდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ მადრიდში გამოაკრეს კედლის გაზეთ „ვოს დელ პუებლოს" პირველი ნომრები. გაზეთში მოთავსებულია ესპანეთის პრეტენზიები გიბრალტარზე, რიო ტინტოზე, ორანზე, პენიაროიაზე, „რომლებიც ესპანეთს თავისად მიაჩნია". გაზეთი მოუწოდებს მზად ვიყოთ და „გამოვიდეთ, როგორც კი ამას გარემოება მოითხოვს".

○

რიო ტინტოში არის ესპანეთის სპილენძის ყველაზე მდიდარი მადანი. მას კონტროლს უწევს ინგლისის კაპიტალი.

პენიაროიაში (კორდოვის პროვინცია) არის ესპანეთის ტყვიის ძირითადი სამადნო, რომელსაც კონტროლს უწევს საფრანგეთის კაპიტალი.

ფრანგ ლტოლვილთა ნაკადი მატულობს

ბერლინი, 27 ივნისი (საქდესი). „ნახტაუსგაბე" აღწერს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე შექმნილ მძიმე მდგომარეობას. საფრანგეთ-ესპანეთის საზღვარზე გადასვლამ,—სწერს გაზეთი,— კატასტროფიული ხასიათი მიიღო. საზღვარზე გადასასვლელ ადგილებში ესპანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მავთულის ხლართები მოაწყეს უამრავ ლტოლვილთა წინააღმდეგ. ესპანეთის საზღვრისაკენ მიმავალი ყველა გზა გაჭედილია, რაც შეუძლებელს ხდის ტრანსპორტის მოძრაობას.

კანადის კომპარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრება

ლონდონი, 27 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მონრეალში (კანადა) დაპატიმრებულია კომუნისტური პარტიის რამდენიმე ხელმძღვანელი, რომლებიც არალეგალურად მუშაობდნენ.

ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ-მაიორ იონსონის ბრძანება

ტალინი, 27 ივნისი (საქდესი). ესტონეთის არმიის მთავარსარდალმა, გენერალ-მაიორ იონსონმა გამოაქვეყნა არმიისადმი ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ესტონეთის არმიას ესმის ხალხის სურვილი და ინტერესები და მხარს უჭერს ყოველგვარ თაოსნობას, რაც მიმართულია ფართო მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. საბჭოთა კავშირის ჯარის მეომართა და მეთაურთა სახით ესტონეთის მხედრები ხედავენ თავიანთ ძლიერ მოკავშირეებსა და მეგობრებს, რომლებიც, ურთიერთდახმარების პაქტის საფუძველზე, ხელს უწყობენ ესტონელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფას.

ჩვენი სამხედრო პირების საპატიო მოვალეობაა კეთილმეზობლური დამოკიდებულება იქონიონ საბჭოთა კავშირის ჯართან, მოეპყრან მას მეგობრულად და აღმოუჩინონ დახმარება. ესტონეთის არმია განუხრელად შეასრულებს იმ ამოცანებს, რომლებსაც მას ესტონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთდახმარების პაქტი აკისრებს".

ესტონეთის მშრომელები მიესალმებიან მთავრობის დეკლარაციას

ტალინი, 27 ივნისი (საქდესი). მთელს ესტონეთში ტარდება მასობრივი მიტინგები და კრებები, რომლებიც მიძღვნილია მთავრობის დეკლარაციისადმი. ახალ მთავრობას ესტონეთის ყველა კუთხიდან მოსდის მილოცვა. კრულის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა მისალმება გაუგზავნეს წითელი არმიის ნაწილებს ესტონეთში. დაბა ტააგენერის მუშები და გლეხები აცხადებენ: „დარწმუნებული ვართ, რომ ახალი მთავრობა უზრუნველჰყოფს სსრ კავშირსა და ესტონეთს შორის დადებული ურთიერთდახმარების პაქტის პატიოსნად გატარებას ცხოვრებაში".

აბენის ჩასვლა ტალინში

ტალინი, 27 ივნისი (საქდესი). დღეს ტალინში ჩამოვიდა აბენი, რომელსაც შარშან სამხედრო სასამართლომ 5 წლის კატორღა მიუსაჯა და იძულებული იყო შვეციაში წასულიყო ემიგრანტად. აბენი არჩეულია პროფკავშირთა დროებითი ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ. მას ვაგზალზე შეხვდნენ ყველა პროფკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ მთავრობის წევრებიც. პერონზე ჩამწკრივებული იყო სახალხო თავდაცვის რაზმის საპატიო ყარაული. აბენმა მხურვალე მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მეგობრული და გულთბილი შეხვედრისათვის და განაცხადა: „დავბრუნდი რა სამშობლოში, მე მთელს ჩემს ენერგიას მოვახმარებ ხალხის კეთილდღეობას, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის განმტკიცებას".

ლატვიის სახელმწიფო აპარატის გარდაქმნა

რიგა, 27 ივნისი (საქდესი). ლატვიის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს სავაჭრო-სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ხელოსანთა და შრომის კამერები, აგრეთვე პროფესიათა და ლიტერატურისა და ხელოვნების კამერები. დაასაბუთა რა მთავრობის ეს გადაწყვეტილება, ლატვიის საზოგადოებრივი სამუშაოს მინისტრმა ბლაუსმა განაცხადა: „ის კამერები, რომლებიც შექმნილი იყო 1934 წლის 15 მაისის შემდეგ, ძველ, დამხობილ რეჟიმის მემკვიდრეობას წარმოადგენენ. ისინი არ გამოხატავდნენ იმ წრეების აზრსა და შეხედულებებს, რომლის წარმომადგენლობაც უნდა გაეწიათ. მაგალითად, შრომის კამერა იმდენად მუშათა ნამდვილ ინტერესებს არ იცავდა, რამდენადაც დამხობილი მთავრობის ხელში იარაღი იყო მუშებთან / ბრძოლისათვის. ძველ რეჟიმთან ერთად უნდა დაემხოს კამერების სისტემაც".

დღევანდელი კაუნასი

კაუნასი, 27 ივნისი (საქდესი). ბევრი რამ შეიცვალა კაუნასში ამ უკანასკნელ დღეებში. უკვე გამოდის ახალი, ნამდვილად სახალხო გაზეთები. ლიტველები ხარბად კითხულობენ ყველა ცნობას საბჭოთა კავშირის შესახებ. თუ წინათ გაზეთები ძალიან ძნელად ვრცელდებოდა, ამჟამად, იმის მიუხედავად, რომ ტირაჟი გადიდებულია ათი ათასობით ცალამდე, გაზეთები არა კმარა. საბჭოთა გაზეთები „პრავდა", „იზვესტია" და „კომსომოლსკაია პრავდა" დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში. მოსწავლენი, რომლებმაც რუსული ენა არ იციან, მშობლებს აკითხვებენ „პიონერსკაია პრავდაში" მოთავსებულ წერილებს. მათ ეინტერესებათ, თუ სად შეიძლება პიონერად ჩაწერა.

საბჭოთა კულტურისადმი ინტერესი დიდია. მაღაზიებში საბჭოთა წიგნზე დიდი მოთხოვნილება არის. რადიომსმენელთა თხოვნით ლიტვის რადიოსადგურმა ამჟამად მოაწყო გაკვეთილების გადაცემა საბჭოთა სიმღერების შესასწავლად.

უდიდესი წარმატებით აჩვენებენ საბჭოთა მხატვრულსა და ქრონიკალურ კინოფილმებს. მაყურებლები ტაშის გრიალით ხვდებიან ლენინის, ამხანაგების სტალინის, მოლოტოვისა და ვოროშილოვის გამოჩენას ეკრანზე.

მუშათა კლუბები და სტადიონები გაჭედილია ლიტველი ახალგაზრდობით. იგი განსაკუთრებული ინტერესით ეცნობა წითელი არმიის ცხოვრებას. ლიტვის შორეული პროვინციის სოფლის მასწავლებელი სწერს: „რა სასიამოვნო კონტრასტს წარმოადგენს წითელი არმია სხვა არმიებთან შედარებით. წითელარმიელებმა ჩვენს სოფელს კულტურა მოუტანეს. ისინი ერთბაშად ჩვენი ახლობელნი და მშობლიურნი გახდნენ. ასეთი არმია ლიტველ ხალხს ჯერ არ უნახავს".

საარჩევნო კამპანიისათვის მზადება ლიტვაში

კაუნასი, 27 ივნისი (საქდესი). ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტრო სასწრაფოდ იმუშავებს ახალ კანონს სათემო და სამაზრო სახალხო საბჭოების არჩევნების შესახებ.

დანიშვნა ლიტვის არმიაში

კაუნასი, 27 ივნისი (საქდესი). ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ლიტვის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ჩეპასი დანიშნულია თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, ბრიგადის გენერალი კარვიალისი—მეორე ქვეითი დივიზიის უფროსად, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ზასკევიჩიუსი—მესამე ქვეითი დივიზიის უფროსად, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი სპრანგაუსკასი—არმიის შტაბის უფროსის თანაშემწედ.

ჰავასის სააგენტო საფრანგეთ-გერმანიის დროებითი ზავის პირობების შესახებ

მარსელი, 28 ივნისი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს: „პრესის წარმომადგენლებისათვის ბოდუენის მიერ მიწოდებული ცნობების დამატებით, საფრანგეთის ინფორმირებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ კომპიენის ტყეში საფრანგეთისა და გერმანიის დელეგაციების შეხვედრის დროს გენერალმა კეიტელმა განაცხადა — გერმანიის მიერ საფრანგეთისათვის წაყენებული მოთხოვნების სიმკაცრე გამოწვეულია იმით, რომ ინგლისი ომს განაგრძობს. როცა საომარი მოქმედება ინგლისის წინააღმდეგ დამთავრდება, ოკუპაციის პირობები, ალბათ, გადასინჯული იქნება. ერთერთი მთავარი საკითხი, რომლის გარშემოც მოლაპარაკება სწარმოებდა, იყო საკითხი, რომ გერმანიისათვის არ მიეცათ არავითარი იარაღი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავრობა ერთ წუთსაც არ ფიქრობდა, რომ იგი თავის ფლოტს დასთმობდა. ამჟამად დაწესებულია კონტროლის სისტემა, ამასთან ფლოტის ნაწილი დაიცავს საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოებს. არც გერმანიას, არც იტალიას არ წამოუყენებიათ ჩვენი ფლოტის მოსპობის საკითხი. ამრიგად, თავიდან იქნა აცილებული მთავარი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლიდა საკითხის გადაწყვეტას. რაც შეეხება საფრანგეთის ავიაციას, რომელიც უკანასკნელი თვეების მძიმე ბრძოლის შემდეგ ძალიან შემცირდა, იგიც ჩაყენებულ იქნა ისეთ პირობებში, რომ ინგლისის წინააღმდეგ მისი გამოყენება შეუძლებელია. თვითმფრინავები გადაცემული კი არ არის, არამედ განიარაღებულია; მოტორები დაშლილია და გადაეცა საკონტროლო პუნქტებს".

მუშათა მილიციის შექმნა ლიტვაში

კაუნასი, 27 ივნისი (საქდესი). ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, მთელს ლიტვაში არსდება მუშათა მილიცია. მუშათა მილიცია ითანამშრომლებს სახელმწიფო ორგანოებთან და თვალყურს ადევნებს საზოგადოებრივ წესრიგს. მილიციაში სამსახური უსასყიდლოა. მილიცია შეიარაღებულია ისევე როგორც პოლიცია.

გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი" ლიტვის კომპარტიის ლეგალიზაციის შესახებ

კაუნასი, 27 ივნისი (საქდესი). ლიტვის მთავრობის დადგენილება ლიტვის კომპარტიის ლეგალიზაციის შესახებ და კომპარტიის მიმართვა გუშინ ყველა გაზეთში გამოქვეყნდა. გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი" ამის გამო სწერს, რომ „მთავრობის დადგენილებას ლიტვის კომპარტიის ლეგალიზაციის შესახებ ახალი ფურცელი შეაქვს ლიტვის ისტორიაში. კომპარტია იბრძოდა ლიტვის დამოუკიდებლობისა და საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის. თავის რიგებში მან დარაზმა ხალხის საუკეთესო შვილები".

გერმანელთა და ავსტრიელთა დაპატიმრება ინგლისში

ლონდონი, 27 ივნისი (საქდესი). გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" გადმოცემით, ამ დღეებში ინგლისის პოლიციამ კიდევ დააპატიმრა 400 გერმანელი და ავსტრიელი 16-დან 70 წლის ასაკამდე.

ბავშვთა შემოქმედების საქართველოს პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა. **სურათზე:** ოლიმპიადის მონაწილენი ქუთაისიდან **ნ. მელია** და **ო. თურქია**ასრულებენ საკოლმეურნეო ცეკვას.

ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ექიმ-სტომატოლოგთა ახალი კადრები

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც საქართველოში 1935 წელს ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის სამაყო შვილის, დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, დღეს უკვე მეორედ აბარებს საბჭოთა ქვეყანას, ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს 135 ექიმ-სტომატოლოგს, შეიარაღებულს თეორიული, პრაქტიკული და პოლიტიკური ცოდნით. სტომატოლოგიურმა ინსტიტუტმა შესძლო სათანადო მატერიალური ბაზის შექმნა და საკუთარი მეცნიერული კადრების შემოკრება.

ახლა სტომატოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობს 743 სტუდენტი. ჩვენმა ინსტიტუტმა მესამე ხუთწლედში უნდა მოგვცეს 600-ზე მეტი ექიმ-სტომატოლოგი. ამ რიცხვიდან გასულ წელს ინსტიტუტმა გამოუშვა 127 ექიმი, წელს კი 135 ექიმს უშვებს.

სახელმწიფო გამოცდებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩვენი ინსტიტუტი უშვებს ყოველმხრივ მომზადებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნეებს. წელს სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებული იყო 140 კაცი. აქედან გამოცდები ჩააბარა 135 კაცმა. სამმა კაცმა სახელმწიფო გამოცდები ვერ ჩააბარა, ხოლო 2 ავადმყოფობის გამო გამოცდაზე არ გამოცხადებულა. ფრიადზე სწავლობდნენ და სახელმწიფო გამოცდებიც ფრიადზე ჩააბარეს: თ. ბახტაძემ, გ. შენგელიამ, თ. გოგიამ, მ. მაღრაძემ, ეკ. გიორგობიანმა, დ. დაბოგოევამ, ჰ. მამაცაშვილმა, გ. ჩანტლაძემ, ო. ტატანაშვილმა, რ. ხარაშვილმა, ქ. ლომაძემ და ნ. გაბუნიამ.

ახალგაზრდა ექიმებისა და მთელი სამედიცინო... ქიმო პერსონალის წინაშე ლენინ-სტალინის პარტია და მთავრობა, პირადად დიდი **სტალინი** უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს აყენებენ.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის წარმატებით იბრძოლებენ ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი. ისინი შესძლებენ შეუბღალავად ატარონ საბჭოთა ექიმის საპატიო სახელი, წარმატებით ემსახურონ ხალხს, ჩვენს არმიას, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეს.

ექ. გ. ბრეგაძე

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3070687, გაცემული არტემ პეპუს-ძე ნაჭყებიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2850591, გაცემული ვლადიმერ მალანინის-ძე ცეცაძის და პარტბილეთი № 1519105, გიორგი არტემის-ძე ამერიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი წინადადებას იძლევა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების პარტსტატისტიკისა და ერთიანი პარტბილეთის სექტორში 2 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ივანე ტრიფონის-ძე ბელევსკი, ალექსანდრე სოლომონის-ძე ამირხანოვი, ვარვარა იოსების-ასული ვაშაკიძე, ივანე ნიკოლოზის-ძე ნესტოროვი, ივანე სარდიონის-ძე ხოზაძე, ალექსანდრე ვასილის-ძე პისმენნი, ვასილ მიხეილის-ძე პაიჭაძე, ვასილ ქრისტეფორეს-ძე როთველიაშვილი, არშაკ არტემის-ძე ტერ-გალუსტოვი, რომან ნიკოლოზის-ძე ცუცქირიძე, პავლე რუბენის-ძე ბაშევი, კონსტანტინე თემურაზის-ძე, კუპრეიშვილი, ვირაპ ოგანეზის-ძე ოგანეზოვი, ალექსანდრე ზაქარიას-ძე კორკოტაშვილი, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე კაპანაძე, ალექსანდრე ვასილის-ძე სვერიკოვი, დიმიტრი გიორგის-ძე წიკლაური, ირაკლი სოლომონის-ძე ბერაძე, არუთინ მიხეილის-ძე პეტროსიანი, ანა ივანეს-ასული სედოვოი.

შვიდდღიან კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, **ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა ღია იქნება ექსკურსიებისა და ინდივიდუალური დათვალიერებისათვის ყოველდღე 12 საათიდან 8 ს. 30 წუთამდე; გარდა ორშაბათისა.**

კვირაობით მუზეუმი და ავლაბრის სტამბა ღია იქნება დილის 10 საათიდან საღ. 6 . 30 წუთამდე.

მუზეუმის დასათვალიერებლად ექსკურსიებზე წინასწარ ჩაწერა იწარმოებს ორშაბათობით 12 საათიდან საღ. 8 საათამდე.

კლუხორის უღელტეხილზე

სოხუმი, (საქდესი). სოხუმს ჩამოვიდა დნეპროპეტროვსკის სახუნივერსიტეტის ტურისტ-სტუდენტთა ჯგუფი, რომელმაც ამ სეზონში პირველად მოაწყო გადმოსვლა კლუხორის უღელტეხილზე.

ამჟამად კლუხორის უღელტეხილი ღიაა ტურისტებისათვის. ტურისტების მასობრივი გადმოსვლა დაიწყო 25 ივნისს.

სხდომები და მოხსენებები

○ **ექიმთა საზოგადოებაში.** კვირას, 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ტუბდისპანსერის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) მოწვეულია ექიმთა საზოგადოების პლენარული სხდომა. სხდომაზე მოხსენებით გამოვა პროფ. ა. გუკარიანი — „მეცხრამეტე საუკუნის კლინიკური მიმართულებანი". იმავე სხდომაზე შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის კურსების მსმენელთა გამოშვება.

○ **მასწავლებლის სახლში.** კვირას, 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში მოწვეულია ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის საჯარო სხდომა.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **მარჯანიშვილის** სახელობის — „ბედნიერება", **მოზარდ მაყურებელთა** — „პატარა კახი", **გრიბოედოვის** სახელობის — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება", **საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი** — გასტროლები მოსკოვის დრამის ანსამბლის სახ. არტისტ ვაჭრამ ფაფაზიანის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით „დამნაშავის ოჯახი", **ღია ესტრადა** — ესტრადის მსახიობთა საღამო კონცერტი.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „ყუბანელები", **ოქტომბერი** — „უშიშარნი", **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ყუბანელები", **დამკვრელი** (ზამთრის) — „ყუბანელები", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „ჩვიდმეტი წლისანი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ჩვიდმეტი წლისანი", **ლუქსემბურგის სახ.** — „კონცერტი ეკრანზე", **სპარტაკი** — „მშვენიერი ვასილისა", **კომინტერნი** — „იხმაურე ქალაქო", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „არინკა", **26 კომ. სახ.** — (ზამთრის) — „იხმაურე ქალაქო", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ექიმი კალიუჟნი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღების წესები 1940-41 სასწავლო წლისათვის.

1. მიღება სწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: 1) სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე (სპეციალობა—სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი). 2) ტექნოლოგიური ფაკულტეტის განყოფილებებზე: (სპეციალობა ინჟინერ-ტექნოლოგი).

ა) ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების განყოფილებაზე. ბ) ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის განყოფილებაზე (სპეციალობა—ინჟინერ - ტექნოლოგი).

3) მემინდვრეობის ფაკულტეტზე (სპეციალობა-აგრონომი). 4) მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე (სპეციალობა-აგრონომი). 5) მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე (სპეციალობა—აგრონომი). 6) მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის ფაკულტეტზე.

განყოფილებანი: ა) მევენახეობის, ბ) მეხილეობა-მებოსტნეობის (სპეციალობა—აგრონომი).

7) სუბტროპიკულ კულტურათა ფაკულტეტი (სპეციალობა—აგრონომი). 8) სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი (სპეციალობა—ინჟინერი მეტყევე).

2. განცხადებების მიღება სწარმოებს 20 ივნისიდან 31 ივლისამდე.

3. განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი). გ) პასპორტი (წარედგინება პირადად—გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ ზომისა). ე) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა (სამხედრო ვალდებულებისათვის).

შენიშვნა: განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნას ფაკულტეტი და სპეციალობა, რომელზეც სურს შემოსვლა.

4. მისაღები გამოცდები იწარმოებს აგვისტოს 1-დან 20-მდე. ინსტიტუტში ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

შენიშვნა: ტექნიკუმდამთავრებულნი დაიშვებიან გამოცდებზე იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ ცნობა კანონით გათვალისწინებული 3-წლიანი სტაჟის შესახებ, ან სათანადო სახკომატის ნებართვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის შესახებ.

5. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17—35 წლის ხნოვანებისა, რომელთაც დაამთავრეს საშუალო სკოლა (ათწლედი, ტექნიკუმი, მუშფაკი, მოზრდილთა სკოლა, ცხრაწლედი სასწავლებელი) ან მიიღეს ატესტატი ექსტერნატის წესით.

6. ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: ა) ქართული ენა (ზეპირი და წერითი). ბ) რუსული ენა (ზეპირი და წერითი), გ) სსრ კავშირის ხალხთა ისტორია და სსრ კავშირის კონსტიტუცია, დ) მათემატიკა (ზეპირი და წერითი), ე) ფიზიკა, ვ) ქიმია, ზ) ერთ-ერთი უცხო ენა—ინგლისური, ფრანგული ან გერმანული (შემსვლელის არჩევით). თ) გეოგრაფია—მევენახეობის და მეხილეობა-მებოსტნეობის, მეაბრეშუმეობის, მემინდვრეობის, მცენარეთა დაცვის სუბტროპიკულ და სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის.

7. მისაღები გამოცდები სწარმოებს უმაღლეს სკოლათა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამებით.

8. უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ათწლედდამთავრებულნი ფრიადოსნის ატესტატით. ბ) ისინი, რომელთაც 1940 წ. დაამთავრეს მუშფაკი, საშუალო სკოლა მოზრდილთათვის ნიშნებით „ფრიადი" ყველა დისციპლინაში, გარდა ხატვისა, ხაზვისა და ფიზკულტურისა. გ) ვინც მიიღო ფრიადოსნის ატესტატი ექსტერნატის წესით. დ) ვინც დაამთავრა ტექნიკუმი (სასწავლებელი) და ყველა საგნებში აქვთ „ფრიადი" (გარდა ხაზვისა, ხატვისა და ფიზკულტურისა). ჩარიცხულნი არიან ყოველი ტექნიკუმის 5% გამოშვებაში და შემოდიან თავისი სპეციალობის შესაფერ ფაკულტეტზე.

შენიშვნა: ფრიადოსნებისათვის უზრუნველყოფილი იქნება ვაკანტური ადგილების 60%.

9. საექიმო შემოწმება იწარმოებს 27, 28 და 29 ივლისს (ინსტიტუტის პირველი კორპუსი, მარის, № 35).

10. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. ვინც საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდება, ინსტიტუტიდან გაირიცხება.

11. კონსულტაციის მიღება შეიძლება დილის 10-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 9 საათამდე (მეორე კორპუსი, მარის ქუჩა № 33, ოთახი 30).

12. ინსტიტუტში მოწყობილია საკონსულტაციო კურსები.

13. ჩარიცხულნი სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო წესით.

588 ინსტიტუტის დირექტორი დოც. გელაშვილი.

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში ამუშავდა ქალების საპლიაჟო ფეხსაცმელების ახალი კონვეიერი. საჭიროა მუშა-ქალები კონვეიერის სხვადასხვა ოპერაციებზე სამუშაოდ. წინადადებით მიმართეთ მისამართით: ნავთლუღი, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა. ტრამვაი № 9. ფაბრიკის დირექცია.
240

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

30 ივნისს დილის წარმოდგენა
უკანასკნელად ამ სეზონში
ნ. მიქავა და გ. აბაშიძე
ბედნიერება
დრამა 3 მოქმ. 6 სურათად
დადგმა—პ. კობახიძე (რესპ. დამს. არტ.), მხატვარი—მ. აბჟანდაძე,
მუსიკა—ა. ბუკიასი, დირიჟორი—კ. სირბილაძე.
დასაწყისი დღის 12 საათზე.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
გასტროლები მოსკოვის დრამის ანსამბლისა სახ. არტისტის
ვაჭრამ ფაფაზიანის ხელმძღვ. და მონაწილეობით.
29 და 30 ივნისს „დამნაშავის ოჯახი" დრამა 4 მოქმ.
1 და 2 ივლისს უკანასკნელად „ოტელო"
დასაწყისი სრულ 9 საათზე.

ღია ესტრადა
29 და 30 ივნისს ესტრადის მსახიობთა საღამო-კონცერტი
დასაწყისი საღ. 10 საათზე.

ბილეთები ყველა საღამოსათვის იყიდება წინასწარ დილის 11-დან 3 საათამდე,
საღ. 6-დან 10 საათამდე.
ბაღში სახული ორკესტრი ბახმანის ხელმძღვ. ბაღში იყიდება ლუდი.

ა. წ. 29 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში (კიროვის ქ. № 15)
შესდგება თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის საბჭოს საზეიმო სხდომა.
მიძღვნილი ექიმ-სტომატოლოგთა მეორე გამოშვებისადმი.
შესვლა მოსაწვევი ბარათებით.
თბილისის სახელმწ. სტომატოლოგიური ინსტიტუტის
237 დირექტორი პროფ. ურუშაძე.

ივსიხი, თამარ ცინცაძეები იუწყებიან, რომ 30/VI 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ლადო ცინცაძის
სამოქ. პანაშვიდი. 6936

მეუღლე ვასილ, შვილები ელიკო, სერიოჟა, ნუნუ, ვახტანგ, რობერტ, სიძე იოსებ იუწყებიან, რომ 30/VI 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
მარიამ სუხიშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6950

ვასო კუჭუხიძე და გრიგოლ ანდღულაძე ოჯახებით იუწყებიან
კოწია ჭელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ბაღდადში (მახარაძის რ.). 6947

დეიდა სონა ქმრით ალექსით, დეიდაშვილები ბაგრატ, ვანო, ცაცო, რძლები ცაცა და ტანია იუწყებიან
ვალოდია მანუჩაროვის
გარდაცვალებას. 6937

მაღლაკელიძე, ბერიაშვილი, გონგლაძე, აბაშიძე, ე. მაჩაიძე, ს. რაზმაძე, ძამისაშვილი, მაჩაიძე, ე. კიკნაძე, რობაქიძე, მარკოზოვი, არუთინოვი, ე. არუთინოვი, ა. კარაპუხოვი, ოქროპირიძე იუწყებიან ბიძინა პეტრიაშვილის დედის
ნეოლინას
გარდაცვალებას. 6942

მეუღლე გიორგი, შვილები რეზო, გოგი, მამამთილი ოქრო, დედამთილი ანასტასია, მაზლები კოტე, მიხეილ, რძალი სონია, იუწყებიან
ლიზა მესხის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/VI 8 ს. გამოსვენება 30/VI 5 ს. სიღნაღის, 17. 6993

შვილები სოფო, ალე, შალვა, ნუნუ, რძლები მელიტა, ქეთო, სიძეები კარბელაშვილი, გუდიაშვილი იუწყებიან, რომ 30/VI, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
იოსებ და სალომე ხუციშვილების
სამოქალაქო პანაშვიდი. 6944

მეუღლე შალვა, შვილები ბაჰიკო, ჯულუ, მშობლები სტეფანე, მინადორა, ძმები, დები, სიძეები იუწყებიან, რომ 30/VI 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ქსენია სტეფანეს-ასულ შენგელაიას
პანაშვიდი. 6945

ბაბუა ალექსი ოჯახით, მშობლები ნატალია, ვარლამ, და მერიკო ხუციშვილები, ბიძები და ბიცოლები იუწყებიან, რომ 30/VI 2 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება
პატარა ჟუჟუნიკოს
სამოქალაქო პანაშვიდი. 6946

დედა ანა ოჩიგავა, და თამარ ქმრით ალექსანდრე გზირიშვილით, სიძე შერმადინ სახარულიძე, ბიძა ივანე ხელაძე იუწყებიან, რომ 29/VI 5 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
ჟენია ოჩიგავას
პანაშვიდი. 6948

ცოლი პაშა, შვილი ნუნუ, ვანიკა, ანეტა, ცაცა, ცომაიები, ელისაბედ კონტრიძე ქმარშვილით და რძლებით იუწყებიან
კოტე ლევანის-ძე ცომაიას
გარდაცვალებას. 6949

ბერიას სახელობის საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინერო-მექანიკური ფაკულტეტის მე-30 და 31 ჯგუფების კურსდამთავრებულნი იუწყებიან დავით პეტრიაშვილის დედის
ნეოლინა პეტრიაშვილის
გარდაცვალებას. 6930

მშობლები ჩიტო, ოლღა, ბებია ელისაბედ, დები ელენე, ეკატერინე, ქეთო ანანიაშვილები, მეგობარი ლენა ჯიოევა, სიძეები ს. მამაცაშვილი, ა. გიგოშვილი იუწყებიან, რომ 30/VI 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
გიორგი ესტატეს-ძე (ჩიტოს-ძე) ანანიაშვილის
პანაშვიდი. 6934

მეუღლე ქრისტეფორე შვილები ვლადიმერ, ვასილო, ათინო, შურა, ნინო, ლეო ქმარშვილით, რძალი სონა იუწყებიან, რომ 30/VI ს. ვაკიჯვარში (გურია) დანიშნულია
კაკი გიორგაძის
პანაშვიდი. 6938

ქმარი პავლე, შვილი ლიანა, მულები ომანიძეები, დედა, ძმები, ბიძები, ბიცოლები ქექნაძეები, სიძეები გაგოშიძეები იუწყებიან
ოლია ქექნაძე-ომანიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტიდან (კამოს ქ.) 30/VI 5 ს. 6939

დავით კორინთელი შვილით მერით და ბათიაშვილების ოჯახი იუწყებიან, რომ 30/VI 11½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ორდენოსანი მასწავლებლის
ნინო დიმიტრის-ასულ ბათიაშვილი-კორინთელის
პანაშვიდი. 6940

მეუღლე ნადია ანაკიძე შვილით მერიკოთი, სიდედრი სალომე, ცოლისდა თინა ქუნთელიები იუწყებიან
გიორგი პეტრეს-ძე ანაკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/VI ს. მარანში. 6941

ცოლი მარო, შვილები ნინო, შოთა, სიძე შალვა იუწყებიან
სევერიან მერაბის-ძე სანაძის
გარდაცვალებას. ჩამოსვენება ხაშურიდან თბილისში სადგურზე 30/VI 2 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6952

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—?1—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1456